საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 177 (979)

სამშაბათი, 4 ოქტომბერი, 1994 წელი.

ფასი 100000 კუპონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯორჯ შულცი: „ჩამოვედი, რათა პირადი წვლილი შემეტანა საქართველოს აღმავლობის საქმეში"

1 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ბატონი ჯორჯ შულცი, რომელიც ვიზიტად ეწვია ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რათა კიდევ ერთხელ მხარი დაუჭიროს სახელმწიფოს მეთაურს, მის კურსს და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს. ბატონ ჯორჯ შულცს ჩამოჰყვა ჰუვერის ინსტიტუტის ეკონომისტთა ჯგუფი, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში, რათა დახმარება გაუწიონ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პროცესების განვითარებას.

სახელმწიფოს მეთაურმა დიდი მადლობა გადაუხადა მაღალ სტუმარს და მის თანმხლებ პირებს იმ თანადგომისა და დახმარებისათვის, რაც მათ გამოიჩინეს ქართველი ხალხის მიმართ. მან აღნიშნა, რომ ბატონ ჯორჯ შულცის ჩამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს ტრადიციების გაგრძელებაა და დიდი მხარდაჭერაა იმ ქვეყნის ხალხისათვის, სადაც მას არანაკლებ იცნობენ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საქართველო კრიზისში იმყოფება. უახლოეს დროს, ალბათ, გადაწყდება. ქვეყანაში ეროვნული ვალუტის შემოღების საკითხი. ამას საფუძვლად უნდა დაედოს კარდინალური რეფორმების განხორციელება. ეს უწინარეს ყოვლისა გულისხმობს საბანკო სისტემის სრულ რეორგანიზაციას, აქციონირებისა და პრივატიზაციის პროცესების გაღრმავებას.

რეფორმების ერთ-ერთი ყველაზე ძნელი, მაგრამ განსაკუთრებით აუცილებელი ეტაპია ფასების ლიბერალიზაცია. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება. ამჟამად ქვეყანა იმყოფება ყველაზე რთულ ეტაპზე. განვლილმა სამოქალაქო ომმა, კონფლიქტებმა, ანარქიამ, ბუნებრივია, დატოვეს თავისი კვალი. მაგრამ მით უფრო სამაყოა ასეთ პირობებში კრიზისის დაძლევა და ძლიერი დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობა.

— უდიდესი პატივისცემის გრძნობით ვარ ბატონ ე. შევარდნაძის მიმართ, — თქვა ჯ. შულცმა, — ჩვენ ერთდროულად ვმუშაობდით ძნელ დროს. იგი მამაცი, პრინციპული პიროვნებაა. დიდი იყო მისი წვლილი მსოფლიოს გარდაქმნაში, რამაც შესაძლებელი გახადა ის, რომ მსოფლიოში შეიქმნა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნები. და, რომ არა ბატონ შევარდნაძის მცდელობა, პროცესები სხვაგვარად წარიმართებოდა. მე ამას არა მხოლოდ ჩემი რწმენის გამო ვიძახი, არამედ ჩემი პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე. დიდ პატივს ვცემ ე. შევარდნაძის ძალისხმევას.

ბევრმა ქვეყანამ გაიარა ის სიძნელეები, რაც ამჟამად საქართველოშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მხარში ამოვუდგეთ ბატონ შევარდნაძეს, საქართველოს. მე ჩამოვედი, რათა პრაქტიკული ნაბიჯები გადამედგა, პირადი წვლილი შემეტანა საქართველოს აღმავლობის საქმეში. ამიტომაც ჩამოვედი როგორც ინვესტორი. მინდა აღვნიშნო, რომ, რასაც ჩემი ინვესტიციები მოიგებს საქართველოში, კვლავ თქვენი ქვეყნის წარმოებაში დაბანდდება. მე დიდი სურვილი და ღრმა რწმენა მაქვს იმის, რომ ამისი შესაძლებლობა დღეს საქართველოში უკვე არსებობს, ამ პროცესის ყველა წინაპირობაა სახეზე. მე ჩამოვიყვანე მაღალი დონის სპეციალისტები ჰუვერის ინსტიტუტიდან, რომელიც მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ეკონომიკური ცენტრია და თავის დროზე დაარსდა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლის ჩასაყრელად. დღეს საქართველოში ჩამოვიდნენ მეცნიერები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორები. ეს ის უნივერსიტეტია, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი კანონმდებელია. სპეციალისტები შეხვდებიან საქართველოს სამინისტროების, უწყებების, კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს.

პრივატიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია, ახალი ვალუტის შემოღება — ყველა ეს საკითხი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და ამ საქმეში ჩვენ შევეცდებით ვიყოთ სასარგებლო თქვენი ქვეყნისათვის.

უკვე დაიწყო პრაქტიკული საქმიანობა ამ მიმართულებით, შედგება ერთობლივი პროგრამები უცხოელი მეცნიერების აქტიური ჩაბმისა საქართველოში მიმდინარე რეფორმებში, დაიწყება ახალი კონცეფციების შემუშავება.

შეხვედრაზე დამსწრე ვიცე-პრემიერ ბატონ ირაკლი მენაღარიშვილთან ერთად სტუმრები მინისტრთა კაბინეტში გაემართნენ, სადაც საქმიანი საუბარი გაიმართა.

(დასასრული მე-2 გვ;)

სურათებზე: ედუარდ შევარდნაძე და ჯორჯ შულცი ფირმა „სამებაში" (საგარეჯო); თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯორჯ შულცს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომს გადასცემს პრორექტორი პროფესორი რ. გორდეზიანი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი და მინისტრთა კაბინეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე

პავლე გიორგის ძე გილაშვილი

შეიქმნა პავლე გილაშვილის დამკრძალავი სამთავრობო კომისია ვახტანგ რჩეულიშვილის თავმჯდომარეობით.

პანაშვიდები გაიმართება 4 და 5 ოქტომბერს 16 საათზე, მისამართზე: ჭავჭავაძის გამზირი 14.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 6 ოქტომბერს 14 საათზე, საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

პავლე გილაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

„ხალხმა და პარლამენტმა ერთხელ კიდევ მოახდინეს თავიანთი არჩევანი—მხარს უჭერენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კურსს"

— **გასული** კვირა ძალიან დაძაბული იყო. განსაკუთრებული მოვლენა იყო 27 სექტემბერს დაწყებული საპარლამენტო კრიზისი. თუმცა, შეიძლება ეს თქვენთვის მოულოდნელი არც იყო და ელოდით კიდეც სწორედ 27 სექტემბერს სიტუაციის ამგვარ გამწვავებას. თქვენი აზრით, როგორია ამ ოთხდღიანი კრიზისის ძირითადი შედეგები? — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ** თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— 27 სექტემბრის სიტუაციის გამწვავება და ამ დღეების ამგვარი დრამატული ხასიათი სავსებით მოსალოდნელი იყო. ასეთი იყო ოფიციალური სტრუქტურების მონაცემები. ჩემი პირადი დაკვირვებაცა და ანალიზიც ადასტურებდა, რომ აუცილებლად იქნებოდა სერიოზული გამწვავება პარლამენტშიც და, შესაძლოა, ქვეყანაშიც. პარლამენტში გამწვავებას (რა თქმა უნდა, არა ისეთს, როგორი სახეც პრაქტიკულად მიიღო), ლტოლვილების გრანდიოზული მიტინგი უნდა მოჰყოლოდა, რასაც, როგორც ნაგულისხმევი იყო, შეუერთდებოდნენ მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ადამიანები. ბევრი ვარაუდობდა ეგრეთ წოდებული „მრგვალი მაგიდის" განსაკუთრებულ გააქტიურებას. არც ამაში იყო რაიმე მოულოდნელი. რაც უფრო ვუახლოვდებოდით 27 რიცხვს, მით უფრო ნათელი იყო ასეთი გამწვავების რეალობა. პარლამენტში სახელმწიფოს მეთაურის მიერ გადადგომის, ანუ ნდობის საკითხის პრინციპული დაყენება ერთადერთი, თუმცა ძალიან სარისკო გზა იყო იმისათვის, რომ პარლამენტიცა და ქვეყანაც გამორკვეულიყო და ერთგვარი დასკვნა გამოეტანათ. პარლამენტსაც და მოსახლეობასაც უნდა გამოეხატათ, რა სურდათ — ვიაროთ სტაბილურობის შემდგომი განმტკიცების, ჯანსაღი ტენდენციების გაღრმავების გზით, თუ კვლავ ანარქიისა და ქაოსის ჭაობში ჩავეფლოთ (შეიძლება, ძალიან ვამარტივებ ამ კითხვებს, მაგრამ არსი სწორედ ასეთია.). ახლა პარლამენტარებმა საზოგადოება დაჰყვეს „ზვიადისტებად", „შევარდნაძისტებად", გამოცხადდა ისიც, რომ საზოგადოებრიობის დიდი ნაწილი არც „ზვიადისტია", არც „შევარდნაძისტი" და არც ნეიტრალური, ალბათ, იგულისხმებოდა, რომ გარკვეული მასა ოპოზიციის რომელიმე ლიდერის მხარდამჭერია. არ ვიცი, რომელი გვარის მიმდევრები არიან, თავად ამ განცხადების ავტორის გვარისა, თუ კიდევ სხვისა. სიმართლე გითხრათ, მე გულს მირევს მოქალაქეთა ასეთ კატეგორიებად დაყოფა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამოქალაქო ომი ჩავაქრეთ, ეს ეტაპი გავიარეთ, საზოგადოებისა და ქვეყნის ერთიანობისაკენ მივდივართ. პირდაპირ გეტყვით, ეს ბოლშევიკური სენია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ეს ადამიანი პარტიაში არც ნოვატორი ყოფილა და იმ პარტიის არც დიდი სიმპათიები ჰქონია. თვითონ მიდგომა — ბოლშევიკურია, ვერ წარმოუდგენია ცხოვრება ისე, თუ ადამიანები არ დაიყოფიან ჯგუფებად, ვიღაცის მომხრეებად ან მტრებად. მე ასე ვიტყოდი, რომ ჩვენს პირობებში ეს არის ტიპური კლასობრივი მიდგომა. სამწუხარო ის არის, რომ ასეთი რამ სწორედ იმ პარტიებში ხდება, რომლებიც თავისუფალი უნდა იყვნენ ამგვარი მიდგომისაგან.

ამ ოთხი დღის მნიშვნელობა არ არის ისეთი, როგორც გუშინ დაახასიათა ტელევიზიის ერთ-ერთმა დიქტორმა. თუ არ ვცდები, დაახლოებით ასე ითქვა, მოვლენები არაფრით დაიწყო და არაფრით დამთავრდებაო. მას არ ვაკრიტიკებ, მას თავისი შეხედულება აქვს, მაგრამ ჩემს აზრს გამოვხატავ: როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ყველაფერი ძალიან სერიოზულად დაიწყო და ძალიან სერიოზულადვე დამთავრდა. ხალხმა და პარლამენტმა ერთხელ კიდევ მოახდინეს თავიანთი არჩევანი — მხარს უჭერენ კურსს, მიმართულს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისაკენ, ეკონომიკაში ფორსირებული რეფორმებისაკენ, წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებისაკენ. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პარლამენტის სხდომაზე ჩემს გამოსვლაში ვთქვი, რომ ამ ოთხ დღეს, შეიძლება ითქვას, არსებითი მნიშვნელობა ექნება მომავალი არჩევნებისათვის. ჩვენს საზოგადოებრიობას, ყველა მოქალაქეს ერთხელ კიდევ მიეცა საშუალება თვალნათლივ დაენახა, ვინ არის პოლიტიკოსთა იმ ჯგუფში, რომელსაც რეალურად მიჰყავს ქვეყანა კრიზისიდან გამოსვლისაკენ, და ვის, რომელ ჯგუფსა და პარტიას აღარ უნდა დაუჭირონ მხარი მომავალში. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი როლი შეასრულეს საპარლამენტო უმრავლესობამ და პარლამენტართა იმ ნაწილმა, რომელიც არც ოპოზიციაშია და არც უმრავლესობაში. ამავე დროს, ეგრეთ წოდებული ოპოზიციური პარტიებიდან ძალიან ბევრმა საღი აზრი გამოთქვა და საღი პოზიცია დაიკავა. მე სავსებით გულწრფელი ვიყავი, როცა მათ მადლობის სიტყვებით მივმართე, ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. იქნებ ეს ოთხი დღე გახდეს სწორედ მომავალი სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი.

— შეიძლება ეს განსხვავებული დამოკიდებულება იმიტომაც გაჩნდა, რომ ქართულ საზოგადოებრიობასა და პოლიტიკურ აზროვნებაში არ იყო გაცნობიერებული ის დიდი მნიშვნელობა, რაც ენიჭება საზოგადოების განწყობას, მის აზრს. ფიქრობენ, რომ პოლიტიკოსი უნდა ეყრდნობოდეს ძალისმიერ სტრუქტურებს, სხვა მნიშვნელოვან საფუძველს და საზოგადოებრივ მხარდაჭერას თითქოს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამ ოთხმა დღემ სწორედ კურსისადმი საზოგადოების მხარდაჭერა წარმოაჩინა. მით უფრო აუცილებელია ეს იმ ქვეყნისათვის, რომელიც, ერთი გამომსვლელის სიტყვები რომ მოვიშველიო, „მძიმე ავადმყოფობას გადის დღეს, რომელსაც რეფორმა ჰქვია". თუ საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთკავშირი არ დამყარდაა, მაშინ რეფორმა განწირულია დასაღუპავად. ამას ემატება აფხაზეთის მომენტი, აქაც აუცილებელია ის ერთიანობა...

— მე მგონი ჩვენი ოპონენტები ერთ რამეში ცდებიან: მათ აქვთ საკუთარი გამოცემები, გაზეთები, აქვთ საშუალება მიიღონ ტრიბუნა და ხშირად, თავიანთი ანალიზიდან გაკეთებული დასკვნა აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, ან, თავიანთ გაზეთში დაწერენ, რომელ პარტიას როგორი რეიტინგი, რა წონა აქვს და სხვა (როგორ წერენ, ეს თქვენ კარგად იცით), მერე თვითონვე სჯერათ, რომ ეს ასეა. სინამდვილეში კი საზოგადოება სულ სხვა არის.

სამწუხაროდ, ამის ღრმა ანალიზის შესაძლებლობას ბევრი პოლიტიკოსი მოკლებულია და ამიტომ ხშირად ცდებიან, მცდარ დასკვნებამდე მიდიან. საზოგადოებრიობას და ხალხს არ შეიძლება მოწყდე, უნდა შეგეძლოს რეალურად შეაფასო ის, რაც ცხოვრებაში არის და რაც საზოგადოებაში ხდება. ეს ოთხი დღე სწორედ ამის გაკვეთილია. ვფიქრობ, ეს დღეები კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენის დამახასიათებელია, — რომ ჩვენ ნელ-ნელა ვიკურნებით იმ სენისაგან, რომელსაც საზოგადოების ზედმეტი პოლიტიზირება ჰქვია. საზოგადოებრიობამ, მოქალაქეებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება იმ მოვლენისადმი, რაც პარლამენტში მოხდა. მაგრამ ისინი, როგორც იტყვიან, სადარაჯოზე იდგნენ, ნაკლები იყო ემოციების გამოხატვა და სხვა, რაც

(დასასრული მე-2 გვ;)

ედუარდ შევარდნაძის 3 ოქტომბრის რადიოინტერვიუ

„იბერიის" ლენტიდან

სოჭი. რუსეთის სამხედრო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ სოჭში შემდგარი ოთხმხრივი კომისიის სხდომაზე მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ლტოლვილთა დაბრუნება უახლოეს ხანში უნდა დაიწყოს. ლტოლვილთა რეგისტრაციის პუნქტებად განსაზღვრულია ზუგდიდი და სოჭი, ხოლო სატრანზიტო პუნქტებად, სადაც ლტოლვილები გაივლიან შემოწმებას — ქვაბურხინჯი (გალის რაიონი) და ლაზარევსკოე — სოჭთან. პირველ რიგში ლტოლვილები დაბრუნდებიან გალის რაიონის სოფლებში საბერიოში, ღუმურიშში, პირველ გალში.

სოხუმი. ოთხმხრივი შეთანხმების თანახმად, აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნების პროცესში აქტიურად ჩაერთვება რუსეთის ფედერალური საემიგრაციო სამსახური, რომელიც შეაგროვებს ლტოლვილთა ანკეტებს და გადასცემს მათ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებს.

სოხუმი. ე. წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის წინაშე დამსახურებისათვის, თავდაცვის მინისტრს, ეროვნებით ყაბარდოელ სულთან სოსნალიევს აჩუქა აგარაკი გაგრაში და ორსართულიანი სახლი სოხუმში, რომელიც ადრე ქართველებს ეკუთვნოდა.

აფხაზეთის სვანეთი. აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის სამშვიდობო ჯარების სარდალმა, გენერალმა იაკუშევმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ქართული ჯარების გამოყვანა კოდორის ხეობიდან პრაქტიკულად დასრულებულია. იქ დარჩნენ მხოლოდ ადგილობრივი სვანური ფორმირებანი, რომელთაც დიდი რაოდენობით იარაღი აქვთ. ქართველთა მხარე აღნიშნავს, რომ სვანები იარაღს არ დადებენ მანამ, სანამ თუნდაც ერთი აფხაზი ბოევიკი იმყოფება კოდორის ხეობაში — განაცხადა იაკუშევმა.

სოხუმი. ე. წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ვლადისლავ არძინბამ რუსეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობო ჯარები გალის რაიონში დარჩებიან მას შემდეგაც, როცა ამოიწურება ფედერაციის საბჭოს მიერ მათთვის განსაზღვრული ექვსთვიანი ვადა. თუ საქართველოს ჯარების გაყვანა სურს, შეუძლია გაიყვანოს ისინი ზუგდიდის რაიონიდან, ხოლო გალის რაიონი აფხაზეთის ტერიტორიაა და იქნებიან თუ არა იქ რუსეთის ჯარები, საქართველო ამას არ წყვეტს — განაცხადა ვლადისლავ არძინბამ.

გერმანიის გაერთიანების ოთხი წლისთავის იუბილე

1994 წლის 4 ოქტომბერს 4 წელიწადი სრულდება გერმანიის სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის დღიდან

1994 წლის გაზაფხულზე ვაიმარი, გოეთესა და შილერის ქალაქი, „199 ევროპის კულტურის ქალაქად" აირჩიეს. ოთხი წლის წინ, 1990 წლის 3 ოქტომბერს ჯერ კიდევ არავის ფიქრადაც არ მოუვიდოდა, რომ ქალაქი ოდესმე გახდებოდა ამ სახელწოდების კანდიდატი. ხაქვეყნოდ ცნობილი ნიუ-იორკის ფილარმონიული ორკესტრი საგასტროლოდ ეწვია ლაიფციგს, მათი დირიჟორის კურტ მაზურის სამშობლოს. 1989 წელს, როდესაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის რეჟიმით უკმაყოფილება პროტესტის სახალხო მოძრაობაში გადაიზარდა, კურტ მაზური, რომელიც ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დასაცავად გამოდიოდა, მშვიდობიანი რევოლუციის სიმბოლოდ გადაქცეული „ორშაბათობის დემონსტრაციის" წამყვან ორგანიზატორთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. ეს მხოლოდ ორიოდ თარიღია, მაგრამ ისინი შუქს ფენენ გერმანიის ახალ მიწებზე მომხდარ ცვლილებებს დასავლეთ ევროპისა და მთელი დასავლური კულტურისაგან იზოლაციის 40 წლის შემდეგ.

ახალ მიწებზე ეკონომიკური აღმავლობის მასშტაბი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ახალი მიწების ყველა რეგიონში გაჩაღებულ სამშენებლო სამუშაოთა გაქანებაში. ახალ მიწებზე ყველგან შენდება ახალი შენობები, მიმდინარეობს ქალაქების—შვერინის, ერფურტის, დრეზდენისა და სხვათა ცენტრების რესტავრაცია. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი სახსრები გამოყო ამ სექტორში დახმარების ღონისძიებებისათვის.

უშუალოდ ქვეყნის გაერთიანების შემდეგ დასავლეთის მიწებიდან აღმოსავლეთში გაიგზავნა რამდენიმე ათასი სპეციალისტი ახალ მიწებზე საზოგადოებრივი მმართველობის მოსაწყობად.

ქვეყნის აღმოსავლეთ [illegible] დამთავრდა უმაღლესი [illegible] ბის სისტემის რეორგანიზაცია. აქ 14 უნივერსიტეტია, უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების კონცენტრაცია გერმანიის აღმოსავლეთ მიწებზე უფრო მაღალია, ვიდრე ქვეყნის დასავლეთ ნაწილში.

გასული 4 წლის მანძილზე დაახლოებით 14000 ფირმა და 16000 მიწის ნაკვეთი 40 მილიარდზე მეტ გერმანულ მარკად გაიყიდა გერმანელ და უცხოელ მყიდველებზე. გაიყიდა დაახლოებით 30000 ჰა სახნავი მიწა, დაახლოებით 1000000 ჰა კი იჯარით გაიცა. ინვესტორები აპირებენ გერმანიის აღმოსავლეთ მიწებში დააბანდონ 180 მილიარდზე მეტი გერმანული მარკა.

ეკონომიკური განვითარების მასშტაბები და მისი უჩვეულო ტემპი წარსულს აბარებს იმ არახელსაყრელ პირობებს, რომელშიც იწყებოდა გარდაქმნა. 1990 წლის თებერვალში, პირველ თავისუფალ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ვილი შტოფი — „გდრ"-ის სახელწოდებით ცნობილი ტერიტორიის (იგი მოიცავდა გერმანიის ყველა ახლანდელ აღმოსავლეთ მიწებს) პრემიერ-მინისტრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებას 1 300 მილიარდ გერმანულ მარკად აფასებდა. როგორც გერმანიის აღმოსავლეთ მიწებზე სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისათვის სპეციალურად შექმნილმა სახელმწიფო მეურვეობის უწყებამ გამოარკვია, მთელი ამ საკუთრების ღირებულება დასახელებული თანხის ნახევარზე გაცილებით ნაკლები იყო. გამოირკვა, რომ ბევრი ქარხანა და ფაბრიკა არ შეიძლებოდა დასავლეთში მიღებული ნორმების შესაბამისობაში მოგვიყვანა.

როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში ბევრი პოლიტიკოსი და მოსახლეობის დიდი ნაწილი ცდებოდა შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობისა და იმ დროის პერიოდის შეფასებაში, რომელიც საჭირო იყო გარდაქმნისათვის. ყოველწლიურად დასავლეთის მიწებიდან აღმოსავლეთში გადადიოდა მხოლოდ სახელმწიფო სახსრებიდან 100 მილიარდ გერმანულ მარკაზე მეტი. დღეს უკვე მოჩანს ძალისხმევის შედეგები. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად აღმოსავლეთ მიწების გერმანელთა 60 პროცენტზე მეტი თავის ეკონომიკურ მდგომარეობას კარგს უწოდებს, ხუთი პროცენტი — ძალიან კარგს, და მხოლოდ შვიდი პროცენტი — ცუდს.

გერმანიის აღმოსავლეთი მიწების ეკონომიკურ განვითარებაში უმთავრეს როლს ასრულებენ მცირე და საშუალო საწარმოები. მათ ძალუძთ ბაზრის ცვალებად ვითარებაზე სწრაფი და მოქნილი რეაგირება. ამიტომ სახელმწიფო მეურვეობის უწყება პრივატიზაციის საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობას აძლევს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორს აძლიერებს.

დიდ კაპიტალდაბანდებათა მიუხედავად, გერმანიის აღმოსავლეთ მიწებზე ჯერ კიდევ ბევრი უმუშევარია. 1994 წლის დამლევს მათი რიცხვი 1,3 მლნ უდრიდა. უმუშევრობის კოეფიციენტმა აღმოსავლეთ მიწებზე 17 პროცენტი შეადგინა, შედარებისათვის დასავლეთ მიწებზე ის 8,8 პროცენტს უდრის. მაგრამ ეკონომიკის სწრაფი განვითარება გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში თანდათან ცვლის ვითარებას შრომის ბირჟაზე. გერმანიის აღმოსავლეთი მიწები ევროპის ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონად გადაიქცა.

ჰერმან ჰორსტკოტე.

ბერლინი (ინტერ ნაციონეს)

• • •



სურათებზე: გერმანიის ფედერალური კანცლერი ჰელმუტ კოლი ესაუბრება ახალგაზრდობას; ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი და გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი რომან ჰერცოგი. ბერლინი, 1994 წ.

Kulturwochen der Bundesrepublik Deutschland im Kaukasus - Herbst 1994

თბილისში გერმანული კულტურის დღეების პროგრამა

კავკასიოლოგთა კოლოქვიუმი — უნივერსიტეტი — 02 — 04. 10 11. 00 — 13. 00 კავკასიის ენები, ლიტერატურა და ისტორია — გერმანულ და კავკასიელ მეცნიერთა შეხვედრები.

ვაიმარის ცეკვის თეატრი — რუსთაველის თეატრი — 04 და 05. 10 17. 00 სთ.

ცეკვის თეატრი არ წარმოადგენს არც ბალეტს და არც თეატრს — ის ერთდროულად ორივეც არის და საკუთარი სახეც აქვს. „ლუიზიანა დედა" მოგვითხრობს ამერიკაში ფრანგი ემიგრანტის კაჟუნის სიხარულსა და ტანჯვაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე. სცენაზე მოქმედება მიმდინარეობს კაჟუნის მუსიკის, სხვადასხვა ჟანრის მუსიკისა და ჯაზის თანხლებით.

ფოტოგამოფენა — ხელოვნების მუზეუმი 05 — 11. 10 11. 00 — 15. 00 სთ. ყოველდღე

„მოგზაურობა გერმანიაში"

ძმები თეოდორ და ოსკარ ჰოფმაისტერები ამ საუკუნის დამდეგს ბევრს მოგზაურობდნენ გერმანიაში და ფოტოფირზე აღბეჭდავდნენ ბუნების ხედებს. მათ უმაღლეს დონეზე აიყვანეს ოფსეტური ბეჭდვის ტექნიკა და შეძლეს ბუნების ფერებთან მიახლოებული ფერადი ფოტოსურათების დამზადება. მათი ფოტონამუშევრები ხელოვნების ნიმუშებია.

„FUN HORNS" — ჯაზური კვარტეტის კონცერტი, მარჯანიშვილის თეატრი 07. და 08. 10 18. 00 სთ.

ამ კვარტეტის მუსიკოსები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღიზარდნენ, მაგრამ მათ ადრევე შეიძინეს მეგობრები დასავლეთში. ხალისიანი ჯაზურ კომპოზიციებში, რომლებსაც ისინი ასრულებენ, მათ ჩართული აქვთ სხვადასხვა დროისა და რეგიონის მუსიკა. მეორე საღამოს ქართველი და გერმანელი მუსიკოსების მიერ შესრულებული იქნება ჯაზი.

გერმანული ვიდეოხელოვნება — კინოს სახლი, მცირე დარბაზი, 10 და 11. 10 15. 00 სთ.

ორი განსხვავებული პროგრამის საშუალებით თვალსაჩინო ხდება, თუ როგორ ეპაექრებიან ერთმანეთს ამ შედარებით ახალი ჟანრის, ახალგაზრდა ხელოვანები. ერთ პროგრამაში მხატვრული თემაა წინა პლანზე წამოწეული, მეორე პროგრამა კი საზოგადოებასთან დაკავშირებულ თემას ასახავს.

პეტერ გოსსე, ლირიკოსი — უნივერსიტეტი 12, 10 14. 30 სთ. უცხო ენების ინსტიტუტი 13. 10 13. 30 სთ.

პეტერ გოსსე, რომელიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ლაიფციგში, კითხულობს თავის ნაწარმოებებს და ესაუბრება მსმენელებს. ლირიკოსი კლასიკურ ფორმებს მისდევს, მისი პოეზია ხალისით აღსავსეა, მაგრამ მის შემოქმედებაში სამყაროსადმი საქსონური სერიოზული მიდგომაც ვლინდება.

ვერნერ ჰერცოგის ფილმები. კინოს სახლი, დიდი დარბაზი 16 — 22 10 14. 00 სთ. და 16. 00 სთ.

ვერნერ ჰერცოგი იმ რეჟისორთაგანია, რომელთაც გერმანული კინოხელოვნება 60-70 წლებში მსოფლიო არენაზე გაიყვანეს. მისი ფილმები მოგვითხრობენ განსაკუთრებული ადამიანების, მათი ექსტრემალურ სიტუაციებში ქცევის შესახებ.

ნახატების გამოფენა — სურათების გალერეა.

ხუთი ჰამბურგელი მხატვარი ქალი ქართველ მხატვარ ქალებთან ერთად გაერთიანდნენ ჯგუფში „კობალტი". ისინი ერთად წარმოადგენენ თავიანთ ნაწარმოებს.

მანჰაიმის სიმებიანი კვარტეტი — სიმფონიური მუსიკის ცენტრი 17. 00 სთ. 23. 10.

კვარტეტი მრავალი პრიზით არის დაჯილდოებული; შეასრულებს მოცარტის, მენდელსონ-ბართოლდის და დენჰოფის ნაწარმოებებს.

„ჩამოვედი, რათა პირადი წვლილი შემეტანა საქართველოს აღმავლობის საქმეში“

(დასასრული)

შემდეგ ბატონი ჯორჯ შულცი ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მას შეხვედრა მოუწყვეს პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. სტუმარს მიესალმა მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, უნივერსიტეტის პრორექტორი რისმაგ გორდეზიანი.

— ჯორჯ შულცი ცნობილია არა მარტო როგორც დიდი, ძლევამოსილი ქვეყნის პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, — განაცხადა შეხვედრაზე საერთაშორისო სამართლის პროფესორმა ბატონმა ლევან ალექსიძემ, — არამედ როგორც „ცივი ომის“ დასამარების ერთ-ერთი ინიციატორი. სწორედ ეს დაედო საფუძვლად ბატონების ედუარდ შევარდნაძისა და ჯორჯ შულცის მეგობრობას, რომელიც დღემდე გრძელდება.

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი თანამდებობიდან გადადგა, ის დაუბრუნდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას. მას მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფია აქვს. საკმაოდ ვრცელია ნუსხა ყველა იმ თანამდებობისა, რომელზედაც ჯორჯ შულცს უმოღვაწია. მაგრამ დღეს, ყველა ამ ტიტულს კიდევ ერთი ტიტული მიემატა. მეცნიერებისა და პოლიტიკის დარგში მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივმა იგი საპატიო დოქტორად აირჩია.

იმ დღესვე სტუმარი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან ერთად საგარეჯოში გაემგზავრა. საქართველოსა და ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა ჩამოსასხმელი ქარხნის ბაზაზე დააარსეს ერთობლივი საწარმო „სამება“. ორივე ქვეყნის ინვესტორებმა თანაბრად ჩადეს თანხა საქმეში, რომელიც, იმედია, სულ მალე სასურველ შედეგს მოგვცემს. თუმცა საწარმომ უკვე ორი თვეა, რაც დაიწყო მუშაობა და ღვინის პირველი პარტიაც გაგზავნა იაპონიაში. ეს საწარმო მალე მთელ მსოფლიოში გაავრცელებს თავის პროდუქციას.

საგარეჯოდან ესკორტი ისევ თბილისს დაბრუნდა. მაღალი სტუმარი ამჯერად ეწვია თბილისის აღმოსავლეთ და დასავლეთის პრობლემების საერთაშორისო ცენტრს, რომელსაც პროფესორი თამაზ გამყრელიძე ხელმძღვანელობს. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე. სტუმარმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი საქართველოს ესტუმრა, რათა მხარში ამოუდგეს მეგობარ ქართველ ხალხსა და მის მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს, რათა ერთიანი ძალისხმევით შეეცადონ გამოიყვანონ რესპუბლიკა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური.

თათბირი თავდაცვის სამინისტროში

2 ოქტომბერს გაიმართა თათბირი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე. თათბირს თავმჯდომარეობდა სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

გამოსულებმა აღნიშნეს, რომ ქართული ჯარის მშენებლობის პროცესში მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი. მათგან უმთავრესია ჯარისკაცების კვების პროდუქტებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა, ხელფასების დროული გაცემა. ბიუჯეტის დამტკიცების დაგვიანება დამატებით პრობლემებს ქმნის საკითხების გადაწყვეტისას. ერთგვარი ხსნა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად შეიძლება იყოს იმ მეურნეობების სრული ამოქმედება, რომლებიც ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. ზოგიერთი პრობლემა კი მხოლოდ მას შემდეგ მოგვარდება, როცა პარლამენტი შესაბამის კანონებს მიიღებს. კერძოდ მისაღებია კანონი საზღვრების შესახებ.

დასასრულ, სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანაა პარლამენტის პირველსავე სხდომაზე ბიუჯეტის საკითხის განხილვა. გარდა ამისა, მრავალი სირთულე მოიხსნებოდა, ყველა სამსახური გამართულად რომ მუშაობდეს. მიზანშეწონილია თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურების დახვეწა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

მიღება მინისტრთა კაბინეტში

3 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო ჰუვერის ინსტიტუტის წარმომადგენლები ანელის ანდერსონი, ედუარდ ლაზერი და შერვინ როზენი. ედუარდ ლაზერმა აღნიშნა, რომ ვიზიტის მიზანია სტენფორდის უნივერსიტეტისა და ჰუვერის ინსტიტუტის წამყვანი სპეციალისტები დაეხმარონ საქართველოს გარდამავალ პერიოდში და ცოდნითა და საკუთარი გამოცდილებით კონსულტირება გაუწიონ საქართველოს მთავრობასა და ეკონომისტებს.

სტუმრებმა წარმოადგინეს თავიანთი წინადადებები და განაცხადეს, რომ განზრახული გვაქვს უახლოესი ორი წლის განმავლობაში ჰუვერის ინსტიტუტში ჩამოვაყალიბოთ სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, კანონპროექტების შემუშავებაზე, დაგეხმარებით განახორციელოთ ის გეგმები, რომლებიც დასახული გაქვთ სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებით.

საუბარში აღინიშნა, რომ პრივატიზაციასა და ფასების ლიბერალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის აღორძინებაში. მათ ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ამ პირობებში აუცილებლად გასათვალისწინებელია მოსახლეობის სოციალური დაცვის საკითხები.

სტუმრებს დღევანდელი სიტუაცია გააცნეს და მცირე მიმოხილვა გააკეთეს ფულად-საკრედიტო და ეკონომიკის სხვა სფეროებში ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, ფინანსთა მინისტრის, ეკონომიკის მინისტრის მოადგილეებმა და სხვებმა.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 45-ე წლისთავის აღსანიშნავად

30 სექტემბერს ჩინეთის საელჩომ საქართველოში გამართა დარბაზობა სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 45 წლისთავის აღსანიშნავად. დარბაზობაზე, რომელიც გაიმართა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის სარკეებიან დარბაზში, მოწვეული იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები. როცა სტუმრებს მიესალმა, ჩინეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვან ფენსინმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ჩინეთის საქმიანი და კულტურული ურთიერთობა მტკიცდება და ვითარდება ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

ჯვართამაღლების ზეიმი ჯვარში

როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანობა მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა. ლეგენდა ამბობს, რომ იმ ადგილას, სადაც დღეს ქალაქი ჯვარია, მან აღმართა ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარი. ალბათ, ამიტომ არის, რომ ამ დასახლებას ჯვარი ეწოდა.

ჯვართამაღლების დღეს ჯვარში დიდი ღონისძიება გაიმართა, აქ ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე აღიმართა 12 მეტრი სიმაღლის ჯვარი. ზეიმზე ჩამობრძანდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, რომელმაც აკურთხა ეს ადგილი, დალოცა იქაურობა და ბედნიერება უსურვა ამ კუთხესა და ერთიან საქართველოს.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დასავლეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების გამგებლები, რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სხვა საპატიო სტუმრები.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

შეხვედრა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში გაიმართა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტის გიორგი კერვალიშვილის შეხვედრა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაციის უფროსის მოადგილესთან პასკალ მოუშლისთან, ამ უკანასკნელის თხოვნით. მხარეები შეეხნენ საქართველოში შექმნილ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებას, აფხაზეთში არსებულ სიტუაციას.

გიორგი კერვალიშვილმა სტუმარს გააცნო ასოციაციის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში და მიზნები, აღნიშნა, რომ საზოგადოების პრიორიტეტად ითვლება დემოკრატიის მთავარი ატრიბუტის — ადამიანის უფლებების აუცილებელი დაცვა. შეხვედრაზე აღინიშნა პატიმართა მძიმე პირობების შესახებ, ლტოლვილების სოციალურ დაცვაზე, გამოიკვეთა თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზანშეწონილობა. მხარეებმა აღნიშნეს, რომ ორივე ორგანიზაციის მუშაობის დროს დაცული უნდა იქნეს მკაცრი ნეიტრალობა და ჰუმანიზმი.

ბატონმა პასკალ მოუშლიმ გამოთქვა რწმენა, რომ გაგრძელდება შეხვედრები წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციას შორის.

ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრესსამსახური.

„ხალხმა და პარლამენტმა ერთხელ კიდევ მოახდინეს თავიანთი არჩევანი—მხარს უჭერენ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კურსს“

(დასასრული)

უფრო წინა პერიოდებისათვის იყო დამახასიათებელი. გახსოვთ, წინა დღეებში რა გაუთავებელი სირბილი იყო მეგაფონებით ხელში, მაგრამ მოქალაქენი ღირსეულად იდგნენ, მათ სჯეროდათ, რომ, ასე თუ ისე, ხელისუფლება თავის კურსს სტაბილურობისკენ, ქვეყნის, საზოგადოების ერთიანობისკენ ბოლომდე მიიყვანს.

— ეს ოთხი მძიმე დღე სოხუმის დაცემის წლისთავს დაემთხვა. თქვენ, ერთხელ, რუსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ბრძანეთ, რომ მთავარია აფხაზეთის პროცესი არ შეჩერდეს, აუცილებელია თუნდაც ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ წინ ვიაროთ. აფხაზეთის პროცესის ერთგვარმა დაკონსერვებამაც ხომ არ გამოიწვია ის, რომ თქვენ ნიუ-იორკში არ გაემგზავრეთ და გაეროს გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობაზე უარი თქვით?

— არა მგონია აფხაზეთის პროცესი დაკონსერვებულად ჩაითვალოს. ეს ასე არ არის. სოჭის მოლაპარაკების ბოლო რაუნდზე ზოგი რამ პოზიტიური მაინც იქნა მიღწეული. სინანულით უნდა ვთქვა, რომ შერიგებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ტენდენციათა საერთო ფონზე, ძალიან მძიმე დისონანსად გაისმა არძინბას გამოსვლა სოხუმში. პირდაპირ ვიტყვი: იმ დროს, როცა რუსეთის თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, რომლებიც გულგრილი არ იყვნენ იმისადმი, რაც ხდებოდა, გაეროს ორგანიზაცია, ევროპული სტრუქტურები და ჩვენ ყველანი ჩართული ვართ ამ პროცესში, რომ მიდგომებს და შეფასებებს, რომლებიც გაისმა ბატონ არძინბას გამოსვლაში, მომავალი არა აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ თვით აფხაზები მივლენ ამ დასკვნამდე.

ასე, რომ მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესი აუცილებლად განვითარდება.

რაც შეეხება გაეროში წასვლას, ჩემი უარი მრავალი მოტივით არის განპირობებული. ყველაფერს არ ჩამოვთვლი. მე ვემზადებოდი წასასვლელად, საინტერესო გამოსვლაც იყო მოფიქრებული, მაგრამ, 27 სექტემბერს დაწყებული მოვლენების გამო, ჩემი იქ წასვლა ყოვლად გაუმართლებელი იქნებოდა. იმასაც ვიტყვი, რომ არც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით არის ჯერ კიდევ ბევრი რამ სათქმელი საერთაშორისო ტრიბუნიდან. ჩვენ ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე ვიმყოფებით. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ საქმეში პროგრესი ძალიან ნელი ტემპით ვითარდება. საერთაშორისო ტრიბუნისათვის ცოტა მოგვიანებით მოვიცლი.

მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება გაეროს გენერალური მდივნის ჩამოსვლა საქართველოში. ამასთან დაკავშირებითაც, შეიძლება, ჩემი იქ წასვლის დიდი აუცილებლობა აღარც კი იყო. თანაც საქართველოს დელეგაცია ამერიკაში იმყოფება, მას საგარეო საქმეთა მინისტრი ხელმძღვანელობს, იგი დისკუსიაში მიიღებს მონაწილეობას — ესეც ჩვეულებრივი ვარიანტია ქვეყნის წარმოდგენისა გაეროში.

— პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას თქვენ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეთ ეკონომიკურ რეფორმას, რომელიც დაიწყო და მიმდინარეობს ქვეყანაში. ჩვენმა მსმენელებმაც იციან, რომ გასულ კვირას სომხეთმაც გაზარდა პურის, ტრანსპორტისა და ელექტროენერგიის ფასები. ახლახან ბელგიიდან დაბრუნდა პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რომელმაც ხელი მოაწერა დოკუმენტს ევროგაერთიანების მიერ საქართველოსათვის 35 მილიონი ეკიუს გამოყოფის თაობაზე. ესე იგი რეფორმისათვის დამახასიათებელ სირთულეებთან ერთად არის დახმარებაც. 26 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე თქვენ მეტად მკაცრი შეფასება მიეცით ცალკეულ უწყებათა საქმიანობას, იქნებოდა ეს საბაჟო დეპარტამენტი, საგადასახადო ინსპექცია, ნავთობსახდელებზე არსებული სიტუაცია თუ სხვა. იქნება რაიმე კონკრეტული შედეგი, თუ შეფასება შეფასებად დარჩება?

— მომთხოვნელობა ახალი ეტაპის — მხედველობაში მაქვს ეტაპი, რომელიც ახლა დაიწყო — მთავარი დამახასიათებელი იქნება. ადამიანებზე ვიმსჯელებთ მათი საქმიანობის მიხედვით, ასეთი სტილი უკვე ფორმირდება. წინასწარ შეპირებებს აზრი არა აქვს, ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ხელისუფლება სწორედ ამ გზით ივლის — მკაცრი მომთხოვნელობა, მკაცრი დისციპლინა, როგორიც კი შესაძლებელია ჩვენს საზოგადოებაში. მართლაც, ბევრი რამ უკვე მოუთმენელია. მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე ვთქვი, რომ ბიუჯეტში შემოდის 15-20 პროცენტი იმისა, რაც უნდა შემოდიოდეს. ამ ამბით დაინტერესებული უნდა იყოს ქვეყანა, რომელსაც აქამდე ბიუჯეტი არ ჰქონდა (რეალურად ახლა ვიწყებთ ბიუჯეტზე მუშაობას), და ყველაფერმა, როგორც ყულაბაში, ისე მოიყაროს თავი ბიუჯეტში. თუ ჩვენ ასეთი ბიუჯეტი შევქმენით, მაშინ ყველას მივეხმარებით, ბევრ მოქალაქეს, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, შევინარჩუნებთ მეცნიერებასა და კულტურას, დავეხმარებით განათლებას და სხვ. მრავალი სასიკეთო ძვრები იქნება ეკონომიკაშიც. ჩვენი მთავარი მიზანი სწორედ ეს არის, და ამ გზაზე არაფერი არ უნდა დავიშუროთ. თუ ქვეყანას სჭირდება, ხანდახან, უახლოესი ადამიანი, თანამებრძოლიც რომ იყოს, იმასაც უნდა უთხრა, რომ ჩამოსცილდეს იმ პოსტს, რომელიც აქამდე ჰქონდა დაკავებული. ასეთი მიდგომა აუცილებელია.

წარმოუდგენელია ისეთი ბარბაროსობა, რაც ნავთობსადენებზე ხდება. რაღა არ მოვიფიქრეთ, თავდაცვის სამინისტროს გარკვეული ნაწილებიც კი იყვნენ ჩაბმული ამ საქმეში, საბოლოოდ კურსი ავიღეთ შინაგან საქმეთა სამინისტროზე. ჭაბურღილებისა და ნავთობსადენების დაცვას სათავეში ჩაუდგა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე. ამის შედეგად ყოველთვიურმა მოპოვებამ 400 ტონას მიაღწია. ახლა 70-80 ტონამდე შემცირდა — ვინც იცავს და ვინც მუშაობს, ალბათ, ყველა ერთად იპარავს. ასე სახელმწიფო ვერ აშენდება. ამიტომ, ვფიქრობ, რომ დღეს-ხვალ მივიღებ სასტიკ ზომებს. არც ერთი უცხოელი, რომელთანაც ჩვენ უკვე კონტრაქტი გვაქვს გაფორმებული ნავთობის ძიების სფეროში, არ შემოვა და მუშაობას არ დაიწყებს. სამწუხაროდ, ასეთი ბევრია. როცა ასეთი ბარბაროსული და მხეცური მიდგომაა სახელმწიფოს სიმდიდრისადმი, ამიტომაც ნიავდება და ვერ დგება ჩვენი ბიუჯეტი.

და კიდევ ერთი: დანაშაულია, მარტო დახმარების იმედზე ყოფნა. აქამდე, როცა ომი იყო და ახლა, როცა რეფორმების პირველ, ყველაზე მწვავე ეტაპზე ვდგავართ — ამ იმედებს ასე თუ ისე, აქვს საფუძველი. როგორც შეუძლიათ, ისე გვეხმარებიან და ამით ვსულდგმულობთ. ეკონომიკის განვითარების ახალ ეტაპზე რომ ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ის, რომ მომავალი წელი საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების წელი უნდა იყოს. სწორედ ამ მხრივ უნდა გახდეს იგი გარდატეხის დასაწყისი ჩვენს ცხოვრებაში და ყოველივე ამას სწორედ ახლა — ამ წლის დასასრულს ეყრება საფუძველი.

— გასულ კვირას თბილისს მსოფლიოს ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსი ჯორჯ შულცი ეწვია — საქართველოში დემოკრატიის ხსნის კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი. აღმოსავლეთ-დასავლეთის კვლევის ცენტრში შულცმა ასეთი რამ თქვა: მჯერა, საშინაო პრობლემებს შევარდნაძე მალე მოაგვარებს და ისევ მსოფლიო პოლიტიკის პრობლემებზე იფიქრებსო. თქვენ გულთბილად და ბევრი ისაუბრეთ შულცზე, როგორც პოლიტიკოსზე, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა დღევანდელი მსოფლიოს ჩამოყალიბებაში. ეს იყო შულცის მეგობრული ვიზიტი საქართველოში, არა?

— თუ ვიზიტის ხასიათზე ვილაპარაკებთ, ეს იყო მეგობრისა და პოლიტიკოსის ვიზიტი, მართლაც, ისტორიულ, გრანდიოზულ გარდაქმნათა ერთ-ერთი ინიციატორისა და ამ გარდაქმნების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოქმედი პირის, იმ ადამიანის ვიზიტი, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, აინტერესებს, როგორია ამ გარდაქმნების შედეგები არა მარტო გლობალური გააზრების თვალსაზრისით, არამედ, თუნდაც, დედამიწის ერთ პატარა წერტილში. თუნდაც იქ, სადაც ცხოვრობს მისი მეგობარი, რომელთან ერთადაც იწყებდა ამ გარდაქმნებისათვის ბრძოლას და ზრუნვას. ამასთან ერთად, ალბათ, მისი ჩამოსვლა განპირობებული იყო ჩვენი პირადი ურთიერთობით. უკვე ვთქვი, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი პირადი სტუმარი ვიყავი, ორი-სამი დღის განმავლობაში მის ოჯახში ვთევდით ღამეს მე და ჩემი მეუღლე. გავიცანი მისი მრავალრიცხოვანი შესანიშნავი ოჯახი, მას 12 შვილიშვილი ჰყავს. ბუნებრივია, რომ გაგვიჩნდა სურვილი შემდეგი შეხვედრა საქართველოში შემდგარიყო.

ძალიან მიხარია, რომ სიმბოლურად, თავისი კაპიტალის მცირე ნაწილი დაუკავშირა საქართველოში ყველაზე ტრადიციულ დარგს — მეღვინეობას.

— დღეს გერმანელთათვის მნიშვნელოვანი დღეა: 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიაში ძველი პოლიტიკური აზროვნება დამარცხდა ახლის სასარგებლოდ. რა შეცვალა ბერლინის კედლის დანგრევამ არა როგორც კონკრეტულმა ფაქტმა, არამედ, ზოგადად, როგორც ტენდენციამ დღევანდელი მსოფლიოსათვის?

— ეს დიდი საკითხია, მაგრამ ახლა შედარებით მოკლედ მოგახსენებთ. ჯერ ერთი, მინდა ვთქვა, რომ გერმანიის გაერთიანებით ახალი მსოფლიო ომის სავსებით რეალური საფრთხე ავიცილეთ თავიდან. აღდგა ისტორიული სამართლიანობა — ერთიანი, დემოკრატიული გერმანია, უდიდესი ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალით, ევროპული და მსოფლიო უსაფრთხოების ერთი უმძლავრესი ღერძია. ესეც მეორე დიდი მონაპოვარია. და მესამე: გაიმარჯვა ახალმა აზროვნებამ, რომელიც იმ ტოტალიტარულ სისტემაში, რეჟიმში, იმ საბჭოთა კავშირში დაიბადა. ნიშანდობლივია, რომ სწორედ იქ დაიწყო ახალი სამყაროს მშენებლობა. ახალი აზროვნება რომ არა, უზარმაზარი ცვლილებები და მოვლენები, რომლებიც მსოფლიოში მოხდა, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა. გერმანიის გაერთიანებაც ასეთივე პრობლემატური იქნებოდა. მინდა მივესალმო ჩვენს დიდ მეგობარს — გერმანიის სახელმწიფოს, მეგობარ გერმანელ ხალხს და მადლობა მოვახსენო იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ისინი საქართველოს უწევენ ჩვენი ისტორიისათვის ამ მძიმე დღეებში. ვულოცავ გერმანელ ხალხს ეროვნულ დღესასწაულს, გაერთიანების, განთავისუფლების დღეს და ვუსურვებ აყვავებას.

ხანს, როგორც
თოდ ყველა მცირე ჰესი, ხერთვი
ჰესიც გაუქმდა და დროთა გან
ვლობაში უზედამხედველოდ და
ჩენილი ობიექტი გაიძარცვა.
ლა ცხოვრებამ ყველაფერი ახ
ბურად დააყენა და ხერთვისჰე
საც გამოუჩნდა მუდმივი პატრ
ნი. იგი შეისყიდა ასპინძელმა ვა
ველიჯანაშვილმა. უკვე რამდენ
მე თვეა მწყობრში ჩადგა ჰე
ორივე გენერატორი, რომლის
ერთი სიმძლავრე, როგორც
რაუდობენ, 0,6 მეგავატი იქნე
ამჟამად ამოქმედებულია მხოლ
ერთი ძრავა, რომელიც მხოლ
სოფელ ხერთვისის მცხოვრე
ლებს ემსახურება. ხერთვისელ
ახლა უწყვეტად აქვთ მუდმ
ელექტროენერგია. ამავე სა
ბულოში შედის სოფელი ტოლ
ში, მაგრამ მისი ჩართვა არ ხერ
დება გადამცემი ხაზების უქ
ლობის გამო, იმავე მიზეზით

მწყობრში ჩადგა ხერთვისჰესი

ხერხდება ხერთვისჰესის მეო
გენერატორის ამოქმედებაც.
ბოლო წლებში სპილენძის ბ
ბევრი რამ გამოიყვანა წყობი
ბიდან. აი, რა მოსდევს საერ
ქონების გაუფრთხილებლობას!
ბედნიეროდ, ავისმზრახველ
ხელს გადაურჩა სოფელ ოშორ
მიმართულებით მთა კოდიან
არსებული გაყვანილობის ნაწი
რაიონის გამგეობის მითითებ
აღნიშნული ხაზი აიხსნა და სრ
ლიად ვარგისი კაბელი გამოი
ნება ხერთვისჰესზე ასპინძის
სიცოცხლო ობიექტების მისა
თებლად. სამუშაოები უსახსრ
ბის გამო დაბა ასპინძის მ
მოსამსახურეთა ძალებით სრ
დება. ხერთვისჰესის მეორე გ
რატორი, როგორც ითქვა, მ
ამოქმედდება, რის საფუძველ
იქნება ასპინძაში რაისაავადმ
ფოს, პურის საცხობის, კავშირ
ბმულობის რაიონული კვან
აგრომრეწვბანკისა და სხვა ობ
ქტების შეუფერხებლად ამუშ
ბის საშუალება.

ნათელა ცისკარი
„ხრ“ საკ.

ზამთრისთვის შეშას მოგაწვდითო,

გვაიმედებს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით გიგაური

მკაცრმა ზამთრებმა იძულებული გაგვხადა თავის გადარჩენის მიზნით ტყეებიც გაგვეჩეხა, გაგვეჩანაგებინა საუკუნეებით ნალოლიავები ერის ეს სიმდიდრე. მისი უნიკალური ჯიშები და კორომები...

თუ პირდაპირ ვაღიარებთ, არც მოახლოებული ზამთარი გვექნება „სასურველი“, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, ხეების ამდენი ქაოსური ჭრა და ჩეხვა მთასაც რომ ავნებს და ბარსაც. არც ის არის უცხო — ჩვენს გაჭირვებას ამოფარებული ვაი-პატრიოტები ჯიბის გასასქელებლად ნაირ-ნაირ ხრიკებს რომ კადრულობენ და ყველაფერს საქართველოს სახელს არქმევენ. ეს ის დიდი პრობლემებია, ცალკე სალაპარაკო რომ გაგვიხდა. დღეს კი მხოლოდ ერთი კითხვით მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით გიგაურს.

— რა დახმარებას გვპირდებით ტყის მესვეურნი ზამთრისთვის?

— საქართველოში ტყეებს 585.0 ჰექტარი უჭირავს. ეს მთელი ტერიტორიის 40 პროცენტია. მათგან 98 მთებზე და მთისწინებზეა განლაგებული, რაც მის უნიკალურობას განაპირობებს. ჩვენი ტყეების ძირითადი ფუნქციაა ნიადაგისა და წყლის დაცვა, ასევე კლიმატის რეგულირება. აქედან გამომდინარე, მისი სამრეწველო ფუნქციები (ჭრები) შეზღუდულ ხასიათს ატარებს.

ბოლო წლებში რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პირობებმა საფრთხე შეუქმნეს მის ხვალინდელ დღეს. რამდენჯერმე გაიზარდა უკანონო ჭრების რაოდენობა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს: არ არის საკმარისი რაოდენობით საწვავი, გაზი, ელექტროენერგია. თუმცა, არანაკლებ საყურადღებოა მისი სუბიექტური მიზეზებიც. საქმე ეხება ხე-ტყის ორგანიზებულ დატაცებას მოსახლეობისა და სხვადასხვა დანაშაულებრივი ჯგუფების მხრიდან. მათი ძირითადი მიზანი, სამწუხაროდ, იყო და რჩება იოლი გამდიდრების მიზნით ხე-ტყის საზღვარგარეთ გატანა.

— სუბიექტურ მიზეზთა შორის, ალბათ, ზოგიერთი მეტყევის უკანონო ქმედებებს გულისხმობთ.

— გეთანხმებით. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი მკაცრ შეფასებას აძლევს ტყის წესების დარღვევის თითოეულ ფაქტს. მკაცრი ადმინისტრაციული ზომების მიღება დაგვჭირდა ბოლო ორი წლის მანძილზე. რამდენიმე ათეული სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკი, მათ შორის დირექტორები, მოადგილეები განთავისუფლდნენ ან ჩამოქვეითებულ იქნენ დაკავებული თანამდებობიდან. ამას გარდა, ბევრი სხვა რამ,.. მერწმუნეთ, შემდგომშიც სისტემაში არსებული უღირსი მუშაკების მიმართ უკომპრომისო ბრძოლას კვლავ გავაგრძელებთ.

აღნიშნულის გარდა, ჩვენმა დეპარტამენტმა რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად შეიმუშავა რიგი ღონისძიებანი საზღვარგარეთ ხე-ტყის უკანონო გატანის შეჩერების მიზნით. ამის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის № 41 დადგენილებამ დროებით აკრძალა რეექსპორტი, ვინაიდან დანაშაულებრივ ჯგუფებს, რესპუბლიკაში დამზადებული ხე-ტყე თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაჰქონდათ. უნდა აღინიშნოს, რომ მინისტრთა კაბინეტის ამ დადგენილების შედეგად მკვეთრად შემცირდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მისი გატანა. საქართველოს მოსახლეობა ვალდებულია იცოდეს, რომ ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე უმოწყალოდ გაიჩეხა გზის პირებზე არსებული მწვანე ნარგავები, ქარსაფარი და მინდორსაცავი ზოლები, სოფლებისა და რაიონული ცენტრების გარშემო არსებული ტყეები, მაგრამ ამის მიუხედავად, უიმედო მდგომარეობა მაინც არ გვაქვს. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ტყის დაცვის მუშაკთა თავდადებული საქმიანობა. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ არამარტო შეინარჩუნონ, არამედ გააშენონ ტყეები. ახლახან ტყეების დაცვის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის მინისტრებისა და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარის ხელმოწერით მიღებული იქნა მნიშვნელოვანი ერთობლივი დოკუმენტი. გამკაცრებულია ბრძოლა ტყის ბრაკონიერების წინააღმდეგ, შემოღებულია სადღეღამისო პატრულირება ტყეებში და საავტომობილო გზებზე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ეწყობა რეიდები. ეს ღონისძიებები პერსპექტივაში იძლევა მომავალში შემცირდეს ტყის უკანონო ჭრა და მისი გატანა.

— გასაგებია, მაგრამ ზამთარი მოდის. თვითგადარჩენის მიზნით ჩვენც ხომ გვეპატიება რაღაც.

— მართალია. გავითვალისწინეთ რა შექმნილი მდგომარეობა, დეპარტამენტმა ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეიმუშავა პროგრამა საქართველოს სოფლის მოსახლეობის სათბობი შეშით მინიმალური უზრუნველყოფის მიზნით. რაიონულ სატყეო მეურნეობებს დაევალათ სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ახლომდებარე ტყის მასივებში გამოეყოთ დამატებითი ტყეკაფები მეტყევეობის წესების სრული დაცვით.
თავიდან ავიცილოთ ტყეებში მ
ხლეობის არაორგანიზებული
ანარქიული შესვლა. გამგეობ
თან უკვე ფუნქციონირებენ
ბები ამ საკითხებით მოსაგვა
ლად. ეს პროგრამა საშუალ
მოგვცემს საქართველოს სოფ
მოსახლეობა მინიმალურად,
55 პროცენტით უზრუნველვყ
ნუ დაგვავიწყდება, რომ რესპ
ლიკას სათბობის ოპტიმალ
მოთხოვნილებით ვერც ათი წ
წინ ვაკმაყოფილებდით.

— ეს სოფლად, ქალაქე
რას გვპირდებით?

— ესეც გავითვალისწ
თბილისის მერიასთან ერთად
ვიმუშავეთ პროგრამა. ქალ
ლებს საშუალებას მივცემთ
ძინონ დამზადებული შეშა.
შესაბამისი სამსახურები შე
ტანენ სარეალიზაციოდ. ამას
ერთად, იმედი გვაქვს, მთლია
ამუშავდება სახელმწიფოს მ
ურის განკარგულება ზამთრის
ზონის მზადების შესახებ, რო
ლიც საგრძნობლად გაუადვილ
ზამთარს საქართველოს.

ესაუბრა
ია კალანდარიშვი

პარლამენტარის აზრ

საქართველოს

წინამდებარე ტექსტის მიზანია იმის კონკრეტულად ჩვენება, რა უნდა გაკეთდეს, რათა საქართველომ თავი დააღწიოს დღევანდელ კრიზისს, საქართველოს გადარჩენა დღეს შესაძლებელია. კერძოდ, ჩვენ შეგვიძლია:

ა) დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება;
ბ) ჩვენი სახელმწიფოებრიობის დაცვა;
გ) წესრიგის დამყარება;
დ) ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნა.

ამას სჭირდება ქვეყნის ერთგული, გონიერული და პატიოსნური მართვა, რაც სრულებითაც არ მოითხოვს მის სათავეში გენიოსების დგომას. ამ ამოცანის გადაწყვეტა საშუალო ნიჭის, ჩვეულებრივი ადამიანების გუნდსაც შეუძლია, ვინაიდან ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა გატარდეს ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, კაცობრიობისათვის კარგად ცნობილი, ქრესტომათიული ღონისძიებებია.

ქვემოთ ჩამოთვლილია 30 ასეთი ღონისძიება, მათი გატარება ხელისუფლების მიერ დამსახურება არ არის (ეს მოვალეობაა, და არა დამსახურება), მათი არგატარება კი დანაშაულია. ჩამოთვლის თანმიმდევრობა არ ნიშნავს დროში თანმიმდევრობას. ჩამოთვლილი ღონისძიებების დიდი ნაწილი უნდა ჩატარდეს პარალელურად.

I. წესრიგის ღონისძიებები

1. პირველი ნაბიჯი. უნდა მოხდეს **მაფიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან.** დღეს მაფია, ანუ ორგანიზებულ დამნაშავეთა სამყარო, შერწყმულია სახელმწიფოსთან. უფრო კონკრეტულად: ამ სამყაროს გავლენიანი წარმომადგენლები ამავე დროს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სათავეში არიან. ამის შედეგია ზემოხსენებული მაფიების გაბატონება სახელმწიფოში. მოსახლეობა იყოფა, ერთის მხრივ, იმ მოქალაქეებად, რომლებიც შედიან მაფიურ ბანდებში და მონაწილეობენ დანარჩენთა ძარცვაში, მეორეს მხრივ, იმ მოქალაქეებად, რომლებიც იძარცვებიან. ძარცვის ხარისხს (ანუ პირველთა რიცხვის ზრდას) მხოლოდ ერთი საზღვარი აქვს: ძარცვა გაძლიერდება მანამდე, სანამ გაძარცულებს მხოლოდ არსებობის საშუალებაღა დარჩებათ.

ძარცვა არის პირდაპირი (უშუალოდ წართმევის გზით) და არაპირდაპირი — ყოველ ბიზნესსა და წარმოებაში „წილში ჩაჯდომის“ გზით. მეორე ფორმა უფრო დამანგრეველია, ვინაიდან იგი ეკონომიკას უფრო თრგუნავს. განსაკუთრებით მწვავეა საზოგადოების ექსპლუატაციის მესამე ფორმა: ტერორის გზით ეკონომიკის მთელი დარგების მონოპოლიზაცია და ფასების ხელოვნური აწევა. (მაგალითად: „თუ ამა და ამ საქონელს შემოიტან და ამა და ამ ფასზე დაბლა გაყიდი, აგაფეთქებ“). ამის საწინააღმდეგოდ აუცილებელია:

ა). მაფიების ლიდერთა მოცილება სახელმწიფოს მართვის უმაღლესი ეშელონიდან;
ბ). მაფიის დაუსჯელობის სინდრომის მოხსნა;
გ). ზემოხსენებული მონოპოლისტური რეკეტისთვის სასჯელის განსაკუთრებით გამკაცრება ქონების სრული კონფისკაციის ჩათვლით;
დ). იმათი დასჯა, ჯარიმებისა და კონფისკაციების ჩათვლით, ვინც მაფიას „წილში ისვამს“.

მეორე ნაბიჯი. ქუჩაში და გზაზე წესრიგის დამყარება. სახელდობრ, იმის მიღწევა, რომ

ა). უფორმო კაცი ვერ გამოდიოდეს საბრძოლო იარაღით;
ბ). ფორმიანი კაცი მხოლოდ მაშინ გამოდიოდეს საბრძოლო იარაღით, როცა საბრძოლო დავალებას ასრულებს;
გ). შეიარაღებული ფორმირებები, გარდა კანონით გათვალისწინებულისა, დაიშალოს, ვისაც სამხედრო სამსახური უნდა, შევიდეს კანონიერ ნაწილებში, ვისაც რა — [illegible];
დ). საბრძოლო [illegible] აღჭურვილ კაცს ჰქონდეს მხოლოდ საბიუჯეტო ან სხვა კანონიერი შემოსავალი, არ იყოს [illegible] ფორმირებების მიერ თავის რჩენა „შეწერით“ და ყაჩაღობით. ამის მიღწევა გაადვილდება, როცა გადადგმული იქნება ზემოხსენებული პირველი ნაბიჯი — მაფიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან. ეს მოხსნის „ზემოდან“ იძულებას პოლიციის მიმართ, რომ დაკავებული დამნაშავეები გაუშვან და დამნაშავეთა ზოგი პრივილეგირებული კატეგორია „ვერ შეამჩნიონ“.

ამ ორი ნაბიჯის არა მარტო სამართალდაცვითი, არამედ ეკონომიკური ეფექტიც უდიდესი იქნება. მაგალითად, საწვავის ფასი შემცირდება დაახლოებით ორჯერ, რაც ცხოვრების საერთო დონეს, როგორც ანგარიშობენ, 50 პროცენტით მაინც აწევს. უსაფრთხოების გაზრდა და „წილში ჩამჯდართა“ ჩამოცილება წარმოების გამოცოცხლების შესაძლებლობასაც შექმნის.

მესამე ნაბიჯი. გადამწყვეტი ბრძოლა ნარკობიზნესთან, რაც პირველი ორის პარალელურად, ახლავე უნდა მოხდეს როგორც კანონის გამკაცრების, ისე პრაქტიკული მუშაობის გაუმჯობესების გზით; მეცნიერული პროპაგანდის გაშლა ტელევიზიით, მეცნიერულად გათვლილი ფსიქოლოგიური გეგმის საფუძველზე.

მეოთხე ნაბიჯი, აგრეთვე პირველი სამის პარალელური, არის სამართალდამცავ ორგანოთა სისტემატური კონტროლი და წმენდა, რასაც დღეს აგრეთვე აძნელებს მაფიური ბატონობა სახელმწიფოში და სახელმწიფოზე.

ოთხივე ამ ნაბიჯის გადადგმას სჭირდება **ძალისხმევა** სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა, როგორც ეტყვიან, ხელები დაიკაპიწოს და საქმეში ჩაებას. მხოლოდ კონცეპტუალური გადაწყვეტილებით — და მხოლოდ კანონმდებლობითაც კი — ამ შედეგს ვერ მიაღწევთ. დღევანდელ აღმასრულებელ ხელისუფლებას, როგორც, სამწუხაროდ, ვიცით, ამ ძალისხმევის უნარი არა აქვს.

მეხუთე ნაბიჯი უკვე საერთაშორისო პოლიტიკის ზღვარზე დგას. საქმე ისაა, რომ საქართველოში მეზობელი ქვეყნის მრავალათიათასიანი საიდუმლო სამსახურებია დასაქმებული, რომელთაც ერთ-ერთ მიზნად საქართველოს დესტაბილიზაცია და, საერთოდ, საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოტაჟი აქვთ. ამ სამსახურებს დებულებითვე ეკუთვნით მუშაობა მოსახლეობაში, თავისი ქვეყნის სამხედრო ნაწილთან მიმდგომ ზონებში, რაც დღეს პრაქტიკულად მთელს საქართველოს მოიცავს. საჭიროა მათი უფლებამოსილებების მოხსნა პოლიტიკური ზეწოლის გზით, რაც, იურიდიულ სიზუსტესთან ერთად, მტკიცე პოზიციის დაჭერის უნარსაც მოითხოვს, და უცხო აგენტურის იმ ნაწილის გაუვნებლება (იზოლაცია), რომელიც ადგილობრივ ეროვნებებს (ქართველი, სომეხი, ასირიელი...) ეკუთვნის.

II. ეკონომიკური ღონისძიებები

ამ წესრიგდაცვითი ღონისძიებების გარდა გადაიდგმება ეკონომიკური ნაბიჯებიც, რასაც გააადვილებს წესრიგდაცვითი ღონისძიებების გატარება. სახელდობრ:

მეექვსე ნაბიჯი. სრული საჯაროობის შემოღება იმ თანხების და მატერიალური რესურსების ხარჯვაში, რომელთა ზომაც ზუსტად ცნობილია (სესხები, ჰუმანიტარული დახმარება). ეს დაიცავს საქართველოს ზემოხსენებულ ფასეულობათა თითქმის სანახევრო, ზოგჯერ კი თითქმის სრული დატაცებისაგან.

მეშვიდე ნაბიჯი. ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების გაწმენდა ქურდ-ბაცაცებისა და მექრთამეებისაგან და მათი პასუხისგებაში მიცემის წესად შემოღება, რაც ისევ და ისევ კონკრეტულ ძალისხმევას მოითხოვს.

მერვე ნაბიჯი. არსებული ბიზნესის აღრიცხვა და რაციონალური დაბეგვრა, რაც სახელმწიფოს შემოსავალს მისცემს. დაბეგვრის პოლიტიკით **წარმოების** სტიმულირება, ხოლო ვაჭრობაში — პირველი საჭიროების საგანთა იმპორტირების სტიმულირება.

მეცხრე ნაბიჯი. ეროვნული ბანკის მიერ მსოფლიოს სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციათა პოლიტიკის გატარება და საფინანსო პოლიტიკაში მათზე ორიენტაცია.

მეათე ნაბიჯი. მიწის პრივატიზაციის განახლება მის გაუნიავებლად და მასზე ზოგადეროვნული კონტროლის დაუკარგავად.

მეთერთმეტე ნაბიჯი. ფასების ლიბერალიზაცია (ანუ განთავისუფლება) ისეთ სფეროებში, სადაც კომერციის საგნად გამოყენებული მასალის რაოდენობა შეზღუდული არაა, სამაგიეროდ, სოციალური დაცვისადმი სახელმწიფოსმიერი სიფხიზლის განუხრელი დაცვა ისეთ სფეროებში, სადაც კომერციის საგანი რაოდენობრივად განსაზღვრულია და ამავე დროს საარსებო მნიშვნელობისაა (მაგალითად, თუ აშშ-ის მიერ ნაჩუქარი ასი ათასი ტონა ხორბალი სტიქიურად გაიყიდება, იგი მთლიანად წავა მეზობელ სახელმწიფოებში, მაგრამ ახალ ასიათას ტონას აღარ მივიღებთ). სოციალური დაცვის პროგრამათა მკაცრი განხორციელება პირველი აუცილებლობის საგნებზე.

მეთორმეტე ნაბიჯი. აღიკვეთოს, დიდი ჯარიმების პოლიტიკის გამოყენებით, საქართველოში წარმოებული საქონლის გაყიდვა სხვა ფულზე კუპონის გარდა.

მეცამეტე ნაბიჯი ისევ პოლიტიკას ემიჯნება. რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთა რაოდენობა საქართველოში იზრდება, ხელფასი უნდა მიეცეთ არა მანეთებით, როგორც დღეს, არამედ ბანკში გადახურდავების შედეგად მიღებული კუპონებით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს მთელი სიმდიდრის მომხმარებელნი, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ჩათვლით, მხოლოდ რუსები და რუსეთთან დაკავშირებული ადამიანები იქნებიან (რუსეთში მოსაქმე ქართველი ბიზნესმენების ჩათვლით).

მეთოთხმეტე ნაბიჯი. არარაციონალური გადასახადების მ
ნით ან შემცირებით სტიმ
უნდა მიეცეს საქართველ
გასული კაპიტალის და ბი
მენების კვლავ მობრუნებას
ქართველოში, რაც სავსებით
საძლებელი იქნება მაფიების,
რორის აღკვეთის შემთხვევა

მეთხუთმეტე ნაბიჯი. რე
რი საბაჟო კონტროლის გა
რციელება, რაც, ისევ და
ხელისუფლების ძალისხმევის
რზეა დამოკიდებული მთლი

როგორც ვხედავთ, ჩამ
ლილი კომუნიკური ღონისძ
ბი გულისხმობს ეკონომიკის
ნებრივი მექანიზმების შეგნ
აყოლასაც, ანუ ჯანსაღი საბა
ეკონომიკის ხელშეწყობასა
განვითარების გზაზე სვლას,
სახელმწიფოს მიერ რეგულ
ბასაც. არც პროცესების მხო
თვითდინებაზე მიშვება, რ
დღეს მრავალნი მოითხ
არც, მით უმეტეს, ადმინის
რების მეთოდთა თუნდაც
ღუდული გამოყენება არ არი
და ვერც იქნება — პერს
ტიული ჩვენი ეკონომიკის გ
სალების თვალსაზრისით. ძა
ხმევის უნარიანობას (რაც ჩ
წარმატების აუცილებელი პ
ბაა), თავისი მხრივ, სჭირ
ფონი ქვეყანაში მნიშვნელო
სამხედრო ძალის არსებობის
ხით.

III. შეიარაღებული ძალ მშენებლობის ღონისძიებ

მეთექვსმეტე ნაბიჯი. მო
ვადაში (რამდენიმე თვე) სწ
საკანონმდებლო და ადმინის
ციული ღონისძიებების გზით
იქმნას **ჯანსაღი სოციალური**
შეიარაღებულ ძალთა მშ
ლობისათვის. სახელდობრ:
ა). განისაზღვროს სახელმწ
მოვალეობა ჯარისკაცის წ
და სათანადო ფორმულირება
რთოდ ეცნობოს საზოგადო
(კვება, ჩაცმა, მედდაცვა, სა
ვრებელი პირობები, შეიარა
გაწვრთნა ბრძოლაში გაყვანა
ამით გასაწვევ მოქალაქეს,
ოჯახს მოეხსნებათ ჯარში ა

ახალი წიგნები

საჭირო სახელმძღვანელო

ჩვენს საზოგადოებას შესაძლებლობა გაუჩნდა შეიძინოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ბიძინა (ბური) სავანელის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელო „სამართლის თეორია", რომელიც გათვალისწინებულია იურიდიული და სხვა ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. იგი უდავოდ დააინტერესებს ყველას, ვისაც სურს გაიგოს რა არის სამართალი, რისთვის შექმნა ცივილიზაციამ ეს უაღრესად მძლავრი და მოქნილი სოციალური ინსტრუმენტი, რა კონკრეტული ფუნქციის შესრულება ეკისრება მას, როგორია მისი ეფექტიანობის ამაღლების პირობები, რა მექანიზმებით ახერხებს სამართალი ადამიანებს შორის ურთიერთობების — საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო ორიენტირებულია დასავლეთის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებზე, მასში გახსნილია სამართლის ბუნება უახლესი საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული აზრის მიღწევების გათვალისწინებით, დახასიათებულია სამართლის ფორმები, გადმოცემულია თანამედროვე თეორიები სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, განხილულია სახელმწიფოს სამართლებრივი და პოლიტიკური ასპექტები, საკმაოდ დამაჯერებლად უარყოფილია მარქსისტული კონცეფცია სამართლის, როგორც გაბატონებული კლასის, ნების გამოხატულების შესახებ, ღრმად გააზრებულია სამართლის სუბიექტებს შორის უფლება-მოვალეობითი ურთიერთობები, როგორც საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების იურიდიული ფორმა.

სახელმძღვანელოში განსაკუთრებული ადგილი უკავია სამართლის პრაქტიკული განხორციელების ამერიკულ მოდელს, მოსამართლის სამართალშემოქმედებითი საქმიანობის ძირითადი პრინციპების დახასიათებას, საზოგადოებაში სპონტანურად არსებული თვითმართვითი ნორმატიული სტრუქტურების ანალიზს და მათ მნიშვნელობას სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

თუმცა წიგნი სამართლის თეორიის პრობლემებს ეხება, მასში მოკლედ, მაგრამ ნათლად და სათანადო მეცნიერული სიღრმით დასაბუთებულია სახელმწიფოს სამართლებრივი კონცეფცია, ახლებურად არის გააზრებული სახელმწიფოს ფუნქციის ცნება, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები, წიგნში თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემების თვალსაზრისით გააზრებულია სამართლის საზრისი და მისი კავშირი თეოლოგიასა და ეკოლოგიასთან.

ბ. სავანელმა შეძლო ისე დაეწერა სახელმძღვანელო, რომ აეღელვებინა მისი მკითხველი, ეფიქრა და ეაზროვნა ავტორთან ერთად მასში დასმულ პრობლემებზე. ეს ამ წიგნის ერთ-ერთი უდავო ღირსებაა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტუდენტებისათვის.

წიგნი ავტორის პირველი სახელმძღვანელოა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოხდება მისი საჯარო განხილვა, რაც შესაძლებლობას მისცემს ავტორს შეავსოს ზოგიერთი ხარვეზი, რომელიც ამ წიგნს გააჩნია.

ბ. სავანელის წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა იურიდიული მეცნიერული აზროვნების განვითარებაში და მას ღირსეულად შეაფასებენ სწავლული იურისტები, პრაქტიკული მუშაკები და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი.

პროფესორი
თენგიზ ლილუაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ნუ უფრთხით სიტყვა „აფსუას"

ლამის დარაჯებით ამოხსნილი პრობლემა

ჰიპოთეზა

ცნობილია, რომ ომი საზღვრის პოლიტიკაა, ხოლო პოლიტიკა — უსისხლო ომი. პოლიტიკა კი ყოველთვის ეყრდნობა იდეას, აყალიბებს სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას. იგი ერთობის რაიმე ნიშნით (ისტორიული, რელიგიური, ეთნიკური და ა. შ.) ამტკიცებს საზოგადოებრივ ფსიქოლოგიურ განწყობას, ქმნის პრიორიტეტის ხელშემწყობ პირობებს. სამეცნიერო ხედვა, საზოგადო მოღვაწეთა ინტერესი აქეთ უნდა იყოს მიმართული და გაფოკუსებული. ასე უნდა ყოფილიყო აფხაზეთშიც, საქართველოს ამ ისტორიული კარიბჭის საძირკველთან, მაგრამ... ამის ნაცვლად ათწლეულების მანძილზე, ქართული ენათმეცნიერული და ისტორიული აზროვნება დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიმართულებით მუშაობდა და ისეთი ორმხრივდაპირისპირებული ვაკუუმი შექმნა, საიდანაც ლოგიკური, მეცნიერული თუ პოლიტიკური გამოსავალი ძნელი მოსაძიებელია. შედეგად, სისხლიანი პოლიტიკა — ომი მოგვევლინა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული, ყველა გრძნობდა, რომ საზოგადოებრივ-სამეცნიერო სპექტაკლების კულისებში გროვდებოდა, დუღდებოდა და ქართული პარტიული მესაჭეების ზურგს უკან მოფარებული, ახლოვდებოდა ეთნოშეუგუებლობის, ეთნოშეუღლებლობის ატმოსფერო. დაძაბულობა ყოველწლიურად მატულობდა, სრულიად აშკარად და მოურიდებლად ვლინდებოდა „აფხაზეთის საკუთრების" მთელ ტერიტორიაზე. ქუჩაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, რესტორნებსა თუ პლაჟებზე იგრძნობოდა ავი პერსპექტივის სუნი. რა იყო ამის მიზეზი? მეცნიერულად სრულიად გაურკვეველი ეთნიკური წარმომავლობა აფხაზეთის მოსახლეობის იმ მცირე ნაწილისა, რომლის სახელიც ერქვა ავტონომიურ წარმონაქმნს.

მეტიც, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ხელაღებით უარყოფდა მათ ნათესაობრივ ფესვებს მოსახლეობის „ისტორიულად ადგილობრივ" ნაწილთან (ქართველებთან). საზოგადოებრივი აზრიც შესაბამისად იყო მიმართული.

ასეთმა მიდგომამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ქართულ მიწაზე „ორმა აბორიგენმა" განაცხადა პრეტენზია: ქართველმა და აფსუამ (ეს უკანასკნელი სახელი ბოლო ხუთი წლის წინათ, რაც გავიცნობიერეთ!). ვინ დაინტერესებულა აფსუათა წარმომავლობის საკითხით, გვართა გენეზისით, მიგრაციის მიზეზებით, ეთნიკური მახსოვრობის შენახვით, ან, მათი თანაცხოვრების წიაღში მიმდინარე ფსიქოლოგიური პროცესებით? არავინ!

მივიჩნიეთ რა საუკუნის დამდეგის მოდური იბერიულ-კავკასიური ლინგვისტური მოდელები ერთადერთ სარწმუნო წყაროდ ეთნიკური მიკუთვნებების „სტანდარტიზაციაში", ხოლო წარმომავლობითი განაჩენი გამოვუტანეთ ეგრისის ძირძველ სამოსახლოს და ენობრივი მსგავსებით „აფხაზურ-ადიღური" ტომის სახელი დავუმკვიდრეთ საკუთარი ხელით.

იმასაც არ დავჯერდით, ანტიკური კოლხეთის პრესტიჟიული ტერიტორია „მეცნიერულად" მათ სამკვიდროდ გამოვაცხადეთ, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ელინური წყაროები ამ იდეის დასამტკიცებლად გამოგვეყენებინა და დასავლეთ საქართველოს თანამედროვე ტოპონიმიკით გაგვემტკიცებინა! ახლა კი, თითქოსდა ჩვენ არაფერ შუაში ვიყოთ, არძნებას ვუღერებთ მუშტებს.

აფსუებისა და აბაზების წარმომავლობის შესახებ ჩემი ჰიპოთეზის (იხ. გ. ერაძე „აფხაზი და საქართველო". 1993 წ.,) გასამაგრებლად მოვიყვან მხოლოდ დამატებით არგუმენტებს და ამასთან, შეძლებისდაგვარად განვმარტავ იმ „სადავო" ტერმინების განსაკუთრებულ იდეოლოგიურ მნიშვნელობას, რომლებიც ისტორიის უკიდურესი მიჯნებიდან დღემდე ინარჩუნებენ ამ ტერიტორიაზე ქართული აზროვნების საწყისს.

კვლავ ავიღოთ, თითქოს უმნიშვნელო, ეთნონიმად მიჩნეული სიტყვა „კერკეტნი", ელინური დროიდან უცხოური წყაროებით ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ასე ხშირად და გაურკვევლად ნახმარი. უპირველესი საქმე ის არის, რომ კერკეტები (ჰენიოხები და სანიგები) მოხსენიებული არიან შავიზღვისპირა ისეთ რეგიონში, სადაც ოდესღაც უნდა გასულიყო ჩრდილო-დასავლური ეგრისულ-ადიღეური ეთნოზღვარი. ამდენად, მათი ეთნიკური ნიშანი, წყაროს დუმილის პირობებში, ბუნებრივია, მეცნიერულ საკამათო თემად უნდა გამხდარიყო. ჩვენმა მეცნიერებამ „ჯენტლმენურად" დათმო აქ პოზიციები, გაიზიარეს ელინური ეპოქის ტერმინი „კერკეტისა" და ადიღელთა თანამედროვე სახელის — „ჩერქეზის" სინონიმობის არგუმენტი ბგერათა მსგავსების საფუძველზე. თითქოს და რა მოხდა, „დიდი ამბავი"?

მეორე, საქმე ის არის, რომ წყაროებით „კერკეტნი" (ჰენიოხები და სანები) ასევე მოხსენიებული არიან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც (ახლანდელი თურქული ლაზისტანი). რა გამოდის?

როგორც კი ტერმინ „კერკეტს" ჩავთვლით ეთნონიმად და ამასთან ადიღურად, პრეკოლხური სამყაროს აბორიგენობა საერთოდ ეჭვის ქვეშ დგება(!), სარმატების საცხოვრისად გამოცხადდება და ჩვენ კი — საიდანღაც მოსულ ხალხად. და ეს ყველაფერი ამ ერთი „უმნიშვნელო ტერმინის" საფუძველზე. აი, რა მოხდა, ბატონებო!

ყოველივე ამას თუ დავუმატებთ უკვე ცნობილ ფაქტს, რომ აფსუები თავს აბორიგენებად თვლიან და ლინგვისტურად ადიღურ ენების ჯგუფს განეკუთვნებიან, წარმოგიდგებათ დასავლეთ საქართველოს უცხო პრეკოლხური მოსახლეობის შესანიშნავი გამოლმა შემოსადაგებელი იდეოლოგიური მოდელი. ამის საპირისპიროდ ქართულ მეცნიერებას აღარაფერი დარჩენია, აფსუათა პირიქითა კავკასიონიდან ჩამოსახლების ფაქტის მტკიცების გარდა, რომლის თარიღი, როგორც ქვემოთ დარწმუნდებით, სრულიად გაურკვეველია. ასეთია, ორი სიტყვით, ქართული „აფხაზოლოგიის" იდეოლოგიური სქემა.

მე ვამტკიცებ, რომ სიტყვა „კერკეტონი" არ არის ეთნონიმი და არც ადიღური წარმოშობისა (თანაბრად „ჰენიოხისა", „აბასგისა", „აბაზისა", „აფსარისა"), იგი ქართველური სამყაროს სასაზღვრო-გასამხედროებული დასახლებების ერთ-ერთი ადრინდელი სახელია, გეოგრაფიულ-სტრატეგიულ დერეფნებში გამოყენებული! მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთით მოხსენებული „კერკეტები" არიან სანები, ანუ ზანები, ანუ ლაზები, ანუ სამხრეთელი აფსარები, რომლებიც ახლაც იქ სახლობენ და ფეხი არ მოუცვლიათ, თუმცა მახსოვრობა მთლიანად წაშლილი აქვთ! ასე, „კერკეტონი" ქართველური სამყაროს შემომსაზღვრელი ძველი გამაერთიანებელი სიტყვაა და არა მისი ამფეთქებელი, საკუთარი მიწიდან ასაყრელი.

მისი აზრობრივი მნიშვნელობა მარტივად იხსნება. ქართული სიტყვიერებით და პირდაპირი მნიშვნელობით დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონით", (კერკეტნი-ღამის დარაჯნი). დარიალის ხეობის, როგორც უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული შემოსასვლელის უძველესი მოსახლეობის სახელიც, როგორც ეტყობა, ანალოგიური ტერმინით ხასიათდებოდა. დღესაც შემორჩენილია ხევში ტოპონიმი გერგეთი.

რუსულ სამყაროს ხომ ანალოგიურად იცავდა გააზატებული, კაზაკებად წოდებული ერთიანობა. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ „ქაზაქ" თურქული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თავისუფალს: вольный человек (იხ. «Словарь русского языка», ტ. II, გვ. 13. 1983).

ასეთივე თავისუფალნი იყვნენ კერკეტნიც.

რაც შეეხება ეთნონიმ „ჩერქეზს", იგი ადიღეთა სახელად დამკვიდრდა XVI-XVII საუკუნეებში, არის ირანული წარმოშობისა და ნიშნავს მტაცებელ ფრინველ, ჯერკასი, ჩარქასი ოსურად არის არწივი, სოღდური (ირანული) ენით — მტაცებელი ფრინველი ან ქათმის მჭამელი და სხვა. რუსები აქედან არქმევენ „Черкасы". მათი ძველი რუსული სახელი კი არის „Касог". აშკარად ჩანს მისი ქართული „ქაშაგი"-დან წარმომავლობა. (იხ. Макс Фасмер «Этимологический словарь русского языка». IV. 1973. გვ 344. და В. Абаев. «Историко-этимологический словарь осетинского языка», 1959. გვ. 302—303).

პირველ მითითებაში ისიც კი წერია: очевидно не связано с этнонимом „керкетий". რაც ბერძნულიდან მოდის და როგორც მე ვამტკიცებ, პირველწყარო ქართული წარმოშობისა უნდა იყოს. ადიღელებს კი დასავლეთი XVI საუკუნემდე ზიქების სახით იცნობდა, რაც ასევე ქართული ჯიქიდან მომდინარეობს.

როგორც დავინახეთ, არავითარი საერთო ტერმინ „ჩერქეზს" „კერკეტთან" არა აქვს არც აზრობრივად და არც ქრონოლოგიურად. ამიტომ ისტორიულ მეცნიერებაში ეტიმოლოგიური კვლევის ჩაუტარებლად, მხოლოდ ერთეული ბგერითი მსგავსებების საფუძველზე დაუშვებელია დასკვნებისა და ვარაუდების გენერირება.

ქართველი ისტორიკოსებისთვის გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენს სიტყვა „აფსუა", რომელიც მიაჩნიათ არაქართულ საწყისიან ეთნონიმურ თვითსახელად. მათ განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს „ქართლის ცხოვრებაში" მოყვანილი ტექსტი ლაშა გიორგის დაბადებასთან დაკავშირებით: „ბედსა და სვესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა აფსართა ენითა". ეს არის ქართული წყაროების ერთადერთი და უტყუარი მინიშნება „აფსუა" (და „აფსარი" ტერმინების იდენტურობისა. სად გამოგვეყოფა თავი? „ოქროს ხანის" ქართველ უფლისწულს ქართულმა მხედრიონმა მიუძღვნა „გადამთიელი" ტომის ენობრივი სიმბოლო „ლაშა", რაც აფსუურად არის მანათობელი!

ვფიქრობ, ამ ცნობაში არაფერი გასაკვირი და შემაშფოთებელი არ დევს. იგი ჩვეულებრივი ყოფითი გარემოებიდან აღებული ფაქტია, მაშინდელი საქართველოს რეალობიდან. ამის ასახსნელად უნდა დავუშვათ, ის, რაც, სამწუხაროდ, განმარტებული და დაფიქსირებული აღარ არის სხვა წყაროებით, რომ არც ამ სახელის კუთხური ფორმა „აფსუა", და მისი ლიტერატურული შესატყვისი „აფსარი" არ არის ეთნონიმი! აფსარები წარმოადგენდნენ შენაერთებს საზღვრისპირა გასამხედროებული დასახლებებიდან და, რასაკვირველია, მონაწილეობდნენ თამარის ლაშქრობებში. წარმომავლობით განეკუთვნებოდნენ მთიელ ზანებს და ამდენად იყვნენ სამენოვანნი (მეგრულ-აფსარ-ქართული).

აბა, კარგად დაუკვირდით ტერმინ ა-(ფს-(უა)-ს! აქ „ა" აფხაზური თავსართია, „ფს" —სასაზღვრო ფუნქციური ბგერათკომპლექსი" სიტყვა „აბაზლიდან" „ბაზ-ფას" ბგერათმონაცვლეობიდან გამომდინარე, რაც ასევე მხოლოდ ქართულ ეტიმოლოგიას ექვემდებარება და ბოლოს „უა" მიკუთვნებითი (სქესიდან გამომდინარე) ფორმით. რა არის აქ უცხო ჩვენთვის? სად ცხოვრობდა? ყველგან, სადაც კი ქართველური სამყარო თავდებოდა, ჩრდილოეთი იქნება ეს, თუ სამხრეთი, კერკეტონთა სრული ანალოგიით.

ახლა ლიტერატურულ სინონიმურ ფორმას დავუკვირდეთ — „აფსარი". ვინმეს ეჭვი რომ არ შეეპაროს, რომ ასეთი „არი" ფორმით აფიქსირებული სიტყვა ქართულ ენაში (და არა მარტო ქართულში) შეიძლება მხოლოდ პროფესიის ან მდგომარეობის გამომხატველად გაფორმდეს, უამრავი ანალოგებიდან მოვიყვან მხოლოდ რამდენიმეს: ლოტბარი, ნოქარი, ამქარი, მხედარი, მთავარი, საპყარი, სპასალარი, მოძღვარი, აფთიაქარი, დასტაქარი, სტუმარი, ჭადოქარი, მხატვარი, მკვლევარი და ა. შ. თუ ასეთი ლოგიკით მივუდგებით, მაშინ აფხაზური თავადური გვარი ემხვარიც თანამდებობიდან დამკვიდრებულად უნდა ჩაითვალოს. თუ ანალოგიას მოვეძებნით, ასეთიც არსებობს — ამილახვარი. რა მოვალეობას ასრულებდა ამილახვარი? გავიხსენებთ რუსთაველს: „ამილახვარო მოასხი რემა (გაუხედნავ ცხენთა ჯოგი), ჯოგი და ცხენია". ამილახვარი მეჯინიბეთუხუცესია. იგივეა ემხვარიც (ემხორო) მისი შეკვეცილი ფორმა. აქედან იმის თქმა მინდა, რომ აფსარისა და იგივე აფსუას (მეგრული ფორმაა და ნიშნავს აფსარის სქესს) სახელმდებლები ჩვენ თავად ვართ, ქართველები.

აფსარები, ანუ აბასარები, ანუ აბაზარები, ანუ აბაზები, ანუ აბაზგები საუკუნეებით აკონტროლებდნენ აფხაზეთის კავკასიონის თოვლიან უღელტეხილებს. პრომეთეს აფხაზური პროტოტიპი „აბრსკილის" ეტიმოლოგია უშუალო კავშირში ჩანს ამ სამესაზღვრო კასტურ სახელთან. ა (ბრ) (სკ) ილ ორფუძიანი, ტრადიციულად შეკუმშული სიტყვაა, სადაც „ბრ" აბსარიდან აკრეფილი თანხმოვნებია, ხოლო „სკ" ისევ სქესთან კავშირში უნდა იყოს ისევე, როგორც პრომეთეს ქართული ვარიანტი ამირანი არაბულ ემირასთან (უფროსი) არის კავშირში.

აბა, იქნებ რომელიმე სხვა მოსაზრებით ახსნას ვინმემ, რა უნდოდა ციხე-ქალაქ აფსარუნტს სწორედ იქ, სადაც ყველაზე ვიწრო ადგილია ჰანეთ-ისპირის ქედსა და ზღვას შორის, სადაც ჯერ კიდევ 131 წელს ფლავიუს არიანეს აჩვენეს ლეგენდიდან ამოსული კოლხეთის უფლისწულის, მედეას ძმის, აფსირტეს საფლავი! აფსირტე აფსარია, აბზილი, კოლხი სასაზღვრო ლეგიონერი, გვარდიის სპასალარი. მისი ნამდვილი სახელი უცნობია და დასაფლავებულია იქ, სადაც შეეწირა თავის მუდმივ სახელმწიფოებრივ სავალდებულო სამსახურს. მათთვის კი, ვისაც კვლავ ეჭვი შეეპარება „აფს"-ფორმიანი ტერმინების ქართულობაში, ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ „აფსაასტ" სვანური ღვთაებაა.

ისტორიკოსებო! ნუ უფრთხით სიტყვა „აფსუას". საკუთარია. იგი ჩამოსული კი არ არის ჩრდილო-კავკასიიდან, არამედ დაბრუნებული, თავისივე ჩრდილო „ეთნოიმუნური ენით", როგორც ბაცბი დაუბრუნდა კახეთს 1830 წელს, თავისი წოვა-თუშური ენით. აბაზებისა და აფსუების ერთობლივი საერთო ნამდვილი სახელი არის აშვა, ანუ აშუა, კვლავ მეგრული აფიქსირებით. იგი „აფხაზური" ენით ეტიმოლოგიურად ვერ იშიფრება. მხოლოდ ერთი ბგერა „შ" წარმოადგენს ფუძეს. **საზოგადოებას** ყველაზე მეტად „აშუათი", ანუ ჩრდილო-დასავლურ აფსართა ენის ე. წ. „აფხაზური ენის" საკითხი აინტერესებს, ვინაიდან ეს არის ყველა გაუგებრობის ამოსავალი წერტილი. თამარის ეპოქის უმაღლესი ელიტარული სიმბოლოების „აფსარული ენის" ელემენტით დადაღვა მინიშნებაა ეთნიკური სამხედრო სტრატეგიული თავდაცვითი ერთიანობისა. ამის უტყუარი დადასტურებაა ქართული სიტყვა „ლაშქარი" და „ლაშარის ჯვარი"! არ შეიძლება ამის უგულებელყოფა! დღეს კი ეს „ეთნოიმუნური ენა" პოლიტიკური თუ თანამდებობრივი მანტიის ობიექტად არის ქცეული თვად აფსარებისთვის. სხვათა ეთნოსამარ აღჭურვილობის ატრიბუტად გამხდარი!

ვინ უნდა უთხრას სიმართლე მათ, როცა „ქართული ენათმეცნიერული თვითდივერსიიდან" მოდის ყოველივე ეს?

აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას პროფესიულ მოსაზრებებს მოუსმინეთ: **1985 წელი. „ზოგადი ენათმეცნიერება" (გვ. 7):**

„გარკვეული გვარტომის ხალხი, რომელიც ერთ დროს გარკვეულს, ვთქვათ A ენაზე ლაპარაკობდა, შეიძლება დროთა ვითარებაში გარკვეულს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში B ენაზე ალაპარაკდეს. თურქული მოდგმის ბულგარელები ამჟამად ერთ-ერთ სლავურ ენაზე ლაპარაკობენ". და კიდევ იქვე:

„ენის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ გვარტომობის შესახებ და პირუკუ, გვარტომობა ენის საკითხს არ არკვევს..." — კატეგორიულად გვიმტკიცებს ბატონი არნოლდი. იმავე აზრისა გახლავართ მეც, მაგრამ...

1948 წელი. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", II (გვ. 265): ...„არსებობს სერიოზული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღური ტომები (?!).

როგორც ხედავთ, გამოჩენილი ენათმეცნიერი ისტორიულ დასკვნებზე თავს ვერ იკავებს და თავის ვარაუდებს გვიმტკიცებს. აქ, მეცნიერმა, თავისივე ადრინდელი რწმენის საწინააღმდეგოდ, „აფხაზურ-ადიღური" ენების ენათმეცნიერული პოსტულატები გვარტომობაზეც გაავრცელა! რომელ ერთს დავუჯეროთ? გამოლმა ვაძლევთ და გაღმა რაღა შეგვრჩება შესადავებელი?

გაიოზ ერაძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ამ ტრიალ ქვეყანაზე

საჰაერო თავდასხმა გროზნოზე

გუშინ დილით გროზნოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, სადაც ჩეჩნეთის სამთავრობო ძალების არმიისა და პოლიციის საგუშაგოებია განლაგებული, ჰაერიდან დაბომბეს. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ორმა ვერტმფრენმა, რომლებსაც რუსეთის ამოსაცნობი ნიშნები ჰქონდათ, რამდენიმე სარაკეტო ჰური ისროლა. ცნობები მსხვერპლისა და ნგრევის შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

თავდასხმის შემდეგ აფრინეს ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების ავიაგამანადგურებელი, მაგრამ ვერტმფრენებს, რომლებიც სტავროპოლის მხარისაკენ გაფრინდნენ, როგორც ჩანს, იგი ვერ დაეწია. რამდენჯერმე რომ შემოუფრინა გროზნოს, თვითმფრინავი აეროდრომზე დაბრუნდა.

ჩეჩნეთმა დახმარებისათვის თურქეთს მიმართა

იტარ-ტასის ცნობით, ხელისუფლებმა გროზნოში მიმართეს თურქეთს დახმარება აღმოუჩინოს ჩეჩენ ხალხს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვაში. ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი შამბედან იუსეფი სპეციალურ მიმართვაში თურქეთის პრეზიდენტს სულეიმან დემირელს ატყობინებს, რომ „რუსეთის ხელმძღვანელობა იყენებს მოღალატეთა ბანდას და აშკარა აგრესიაზე გადავიდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ. იყენებენ უახლეს საბრძოლო ტექნიკასა და შეიარაღებას, არის მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში".

უკანასკნელი ხანის მოვლენების შესახებ საინფორმაციო მასალა ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაუგზავნა არაწარმოდგენილი ხალხების ასოციაციასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

„მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები"

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში (მადრიდში გამოქვეყნდა) აღნიშნულია, რომ მსოფლიო ეკონომიკა ემშვიდობება კრიზისს და გაბედულად შედის აღმავლობის ახალ ფაზაში. მადრიდში მომავალ კვირას მსოფლიო ბანკთან ერთად გაიმართება ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ყოველწლიური ასამბლეა. მოხსენებაში „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები" დაფიქსირებულია 1994 წლის პირველ ნახევარში მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის აქტიურობა. მოხსენება მოამზადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევითმა დეპარტამენტმა. დასავლეთ ევროპამ და იაპონიამ დაიწყეს უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ყველაზე ღრმა დაქვეითებიდან გამოსვლა, შესამჩნევად გაუმჯობესდა ეკონომიკური სიტუაცია დიდ ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაში, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში აღდგა საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაღალი დონე.

მსოფლიო ეკონომიკური სიტუაციის პოზიციურ ასპექტად საერთაშორისო სავალუტო ფონდის დოკუმენტში მიჩნეულია პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს აზიის ბევრ განვითარებად ქვეყანაში და ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოში. ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნებში შეჩერდა წარმოების დაქვეითება, რომელიც შეინიშნებოდა გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე, ხოლო, ზოგიერთ მათგანში დაფიქსირებულია ეკონომიკური ზრდის აღდგენა.

პირიქით, რუსეთში, ბელორუსში, უკრაინაში, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში დაქვეითება გრძელდება. მაგრამ ინფლაცია შესამჩნევად დადაბლდა მთელ რიგ ქვეყნებში, თუმცა მაინც შედარებით მაღალი რჩება. კერძოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით რუსეთში მიმდინარე წელს ერთიანი ეროვნული პროდუქტი თორმეტი პროცენტით შემცირდება გასულ წელთან შედარებით. თუმცა მდგომარეობის გაუმჯობესება დაიწყო აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში. ნედლეულზე ფასების მომატების შედეგად ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე რჩება თითქმის მთელ კონტინენტზე, — აღნიშნულია გამოკვლევაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების შეფასებით მიმდინარე წელს საერთოდ მსოფლიო ეკონომიკური ზრდა იქნება სამი პროცენტი და 3.15 პროცენტი 1995 წელს.

საპარლამენტო ასამბლეის სესია

გუშინ სტრასბურგში გაიხსნა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (ასე) საშემოდგომო სესია. ერთ-ერთი ძირითადი თემა იქნება ევროპის საბჭოს შემდგომი გაფართოების პერსპექტივების განხილვა. ამჟამად ევროპის საბჭოში ოცდათორმეტი წევრი შედის. საბჭოს ახლანდელი გენერალური მდივნის დანიელ ტარშის აზრით უკვე მომავალ წელს მისი რიცხვი 41-მდე გაიზრდება. ამავე დროს მთავარი მოვლენა უნდა გახდეს ევროპის საბჭოში რუსეთის მიღება. მოელიან, რომ ახლანდელ სესიაზე ევროპის საბჭოს ახალი წევრი გახდება სამთავრობო ანდორა. კენჭისყრა გუშინ უნდა გამართულიყო. მნიშვნელოვან ადგილს დღის წესრიგში დაიკავებს კამათი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ, რომელიც ამჟამად სერიოზულ კრიზისს განიცდის. მისმა წევრებმა დღემდე ვერ მოახერხეს შეთანხმებულიყვნენ ამ ორგანიზაციის გენერალური მდივნის კანდიდატურაზე. ფრანგი ჟან-კლოდ პეის უფლებამოსილება (მას მხარს უჭერენ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საბჭოს ევროპელი წევრები) 30 სექტემბერს დამთავრდა, მაგრამ შეერთებული შტატები წინააღმდეგია გაუგრძელონ მას მანდატი ახალი ვადით.

პასეს თავმჯდომარე მიგელ ანხელ მარტინესი გუშინ აპირებდა მოეხსენებინა თავისი ანგარიში ანკარაში ამასწინანდელი ვიზიტის შედეგებზე, სადაც მან გამოთქვა შეშფოთება სასამართლო პროცესთან დაკავშირებით ორი ქურთი დეპუტატის მიმართ. მათ სი [illegible] დასჯა ემუქრება სეპარ [illegible] ლდებით. პასემ უ [illegible] მართა თურქეთს მ [illegible] თავისუფლონ დე [illegible]

ოლდრიჩ ამხილებს

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი მაღალი რანგის თანამშრომელი ოლდრიჩ ეიმსი, რომელიც ჯერ საბჭოთა, ხოლო შემდეგ რუსეთის დაზვერვაზე მუშაობდა ამხილებს „ათეულობით, შესაძლოა ასეულობით" საიდუმლო ოპერაციას. ასეთი აზრი ყოველკვირეულ „ნიუსუიკისათვის" ინტერვიუში გამოთქვა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა ჯეიმს ვულსიმ, თხოვნაზე შეაფასოს თუ რა ზიანი მიაყენა ამერიკის დაზვერვას ეიმსმა, ვულსიმ უპასუხა: „ჩვენ ჯერ კიდევ ვსწავლობთ ამ საკითხს, ვაგრძელებთ ეიმსის დაკითხვას". მისი სიტყვით „ისევ რჩება ზოგიერთი რამ, რაშიც იგი ტყუის".

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ალტერნატივა

გადარჩენა შეგვიძლია!

სულის ერთ-ერთი არსებითი მოტივი.

ბ) შემოღებულ იქნას და ფართოდ ეცნობოს მოსახლეობას **სოციალური** (და არა მხოლოდ სამართლებრივი) სანქციების მთელი სისტემა სამხედრო ვალმოუხდელთათვის და სოციალურ ჯილდოთა სისტემა ვალმოხდილთათვის.

მეჩვიდმეტე ნაბიჯი. ვინაიდან საქართველოს, თავის სიღარიბის გამო, დღეს არ შეუძლია ჯარში გაიწვიოს ყველა, ვისაც გაწვევა ეკუთვნის, შემოღებული იქნას ალტერნატიული (შრომითი) სამსახურების რაციონალური სისტემა, რომლის შედეგადაც სავალდებულო სამსახური მოიცავს **ყველას** (და არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ ადამიანებს) და რის შედეგადაც ხელი შეეწყობა არმიის მატერიალური რესურსების გაზრდას.

მეთვრამეტე ნაბიჯი. შეიქმნას და განვითარდეს (კორუფციისაგან თავისუფალ საწყისებზე) არმიის მომარაგებისთვის მეურნეობათა სისტემა სასაზღვრო ზონაში.

მეცხრამეტე ნაბიჯი. საქართველოსთვის საჭირო იარაღისა და ტყვია-წამლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის წარმოება მოხდეს საქართველოში.

მეოცე ნაბიჯი. შემოღებულ იქნას და თანდათან საყოველთაო გახდეს სამხედრო მომზადება სკოლაში.

ოცდამეერთე ნაბიჯი. აღირიცხოს და მოწვეულ იქნას (მატერიალური დაინტერესებისთვის უძრავი ქონების გამოყენებით) ქართველი ოფიცრობა საქართველოს გარედან.

ოცდამეორე ნაბიჯი. გამოყენებულ იქნას ნატოს ქვეყნებში კადრის მომზადების ფართო შესაძლებლობები.

აღნიშნულის შედეგად საქართველოში შესაძლებელია რამდენიმეათასიანი პროფესიული არმიის და უფრო დიდი არაპროფესიული (გაწვევის ბაზაზე დაკომპლექტებული) შეიარაღებული ძალის შექმნა, რომელიც თავისი ბრძოლისუნარიანობით დაახლოებით გაუტოლდება ჩვენი უშუალო ორი მეზობლის — სომხეთის და აზერბაიჯანის — შეიარაღებულ ძალებს და შეძლებს ჩვენი თავდაცვის სამივე ძირითადი დღევანდელი ამოცანის გადაჭრას:

ა) შინაგანი სიმშვიდის გარანტიას (რასაც არ სჭირდება არმიის ჩაბმა მოქმედებაში, არამედ მისი დგომაც კმარა).

ბ) ტოლი პოტენციალის მქონე მოწინააღმდეგის გამკლავებას და

გ) მრავალჯერადად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგის გამკლავებას მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი თავის სახელმწიფო დროშას არ გაშლის და მხოლოდ სხვათა ხელით ომის ორგანიზაციას ან „მოხალისეებით" ომს დასჯერდება.

ჩამოთვლილი სამი კატეგორიის ამოცანის გადაჭრას (წესრიგდაცვითი, ეკონომიკური, სათავდაცვო), ერთად აღებულს, სჭირდება 30-50 ათასი სანდო და პასუხისმგებლობის გრძნობით აღჭურვილი კაცი და ქალი, რომელიც ადმინისტრაციის, პოლიციისა და შეიარაღებული ძალების ბირთვი იქნება. წარმოდგენილი მოკლე პროგრამა გულისხმობს (პრაქტიკული გამოცდილების მონაცემებიდან გამომდინარე), რომ ეს პოტენციალი ქართველ ერში დღეს არსებობს.

IV. მტრის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება

ამ ტერიტორიების მშვიდობიანი დაბრუნების ის გეგმა, რომელსაც დღეს ადგას საქართველოს მმართველი გუნდი ე. შევარდნაძის მეთაურობით, მე პირადად უტოპიურად მიმაჩნია. მაგრამ, თუნდაც იგი რეალისტური იყოს, მაინც აუცილებელია თავის დაზღვევა მეორე, ალტერნატიული გზისთვის მზაობითაც, რისთვისაც საჭიროა შემდეგი ნაბიჯები.

ოცდამესამე ნაბიჯი. უნდა შეიქმნას (და დიდი ხანია, უნდა შექმნილიყო) „მოწინააღმდეგის მიერ დროებით ოკუპირებული ტერიტორიების სახელმწიფო კომიტეტი", რომლის ხელმძღვანელი ვიცე-პრემიერის რანგში იქნება და რომელიც ამ ტერიტორიათა დაბრუნების ამოცანის გადაჭრაში დაასაქმებს **ლტოლვილთა ძირითად მასას**, რითაც მას დაიცავს გაფანტვისაგან, დემორალიზაციისაგან და სხვა სოციალური უბედურებებისაგან, რაც ლტოლვილ მოსახლეობას ემუქრება ყველგან და ყოველთვის.

ოცდამეოთხე ნაბიჯი. გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რა თქმა უნდა, შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა, რომელიც წინამდებარე პროგრამაში 16-22 ნომრებით არის გადმოცემული.

ოცდამეხუთე ნაბიჯი. უნდა იყოს საქმისაგან მოცილება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა იმ მეთაურებისა, რომლებმაც თავისი გაუაზრებელი მოქმედებით (ძირითადად, ტელეგადაცემით) ერის სამხედრო ცნობიერების პარალიზაცია მოახდინეს.

V. საგარეო პოლიტიკა

საქართველოს საგარეო პოლიტიკას შეუძლია იყოს **დამოუკიდებელი და ამავე დროს რეალისტური.** დღეს (ცოტა ადრინდელი მდგომარეობისგან განსხვავებით) ჩვენს დიდ რეგიონში (კავკასია, შავი ზღვისპირეთი, ახლო აღმოსავლეთი, შუა აზია) არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია თავისი სურვილი იმდაგვარად განახორციელოს, რომ არავის სხვას ანგარიში არ გაუწიოს. ჩვენი რეგიონის ყველაზე დიდი ძალა ცხადია, რუსეთია. მაგრამ ინტერესი დედამიწის ამ წერტილში აქვთ სხვებსაც — როგორც უშუალოდ მიმდებარე მცირე და საშუალო ქვეყნებს, ისე შორეულსაც, ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის ჩათვლით. ამიტომ რუსეთის ნებისმიერი ნაბიჯი ჩვენ ქვეყანასთან მიმართებაში ამავე დროს, მსოფლიოსთან მიმართებაში გადადგმული ნაბიჯი იქნება. რუსეთს აღარ შეუძლია თავისი გაშლილი დროშით შეიჭრას ამ რეგიონის რომელიმე ქვეყანაში, როგორც, მაგალითად, ამიერკავკასიის ქვეყნებში შემოიჭრა 1920-1921 წლებში, მას არ შეუძლია დაუფარავად გადატრიალების მოხდენა სხვა ქვეყანაში და ა. შ. შესაბამისად, ჩვენ საშუალება გვაქვს ინტერესთა ეს სხვაობა გამოვიყენოთ და, მხარეთა ინტერესების ბალანსირებით, ჩვენი საკუთარი ინტერესები დავიცვათ. ეს კი ნიშნავს: **არავისი დიქტატის უპირობოდ მოყოლის პოლიტიკა ჩვენ აღარ გვჭირდება.**

რუსეთის ინტერესები საქართველოში და, შესაბამისად, მისი გეგმები საქართველოს მიმართ შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: პროგრამა-მაქსიმუმად და პროგრამა-მინიმუმად.

რუსეთის **პროგრამა-მაქსიმუმი** საქართველოს მიმართ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საქართველო ფედერალიზებულია, ანუ ოდნავ ურთიერთშეკავშირებულ პროვინციებად და ავტონომიებად დაყოფილი; რუსეთს საქართველოში სამხედრო ბაზები აქვს, ხელშეკრულებების დასტით ჩვენ შექმნილი გვაქვს ერთობლივი თავდაცვა, ერთობლივი საზღვრის დაცვა, ერთობლივი საბაჟო და ფინანსური სისტემა, ერთობლივი საგარეო პოლიტიკა; უნიფიცირებულია კანონმდებლობა; ჩვენი სამხედრო პოტენციალი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია; სუფევს მუდმივი დამნაშავეობა და განუკითხაობა; პროვინციებს თბილისის ცენტრალურ ხელისუფლებაზე მხოლოდ რუსის კეთილი ნება აბამს. ასევე, მხოლოდ რუსეთის კეთილი ნება აკავებს ჩრდილო კავკასიის ხალხებს ახალი ომისაგან საქართველოს წინააღმდეგ;

სსრკ-ს აღდგენაზე, როგორც რუსეთისთვის ყველაზე სასურველ გეგმაზე, აქ აღარ ვლაპარაკობ, რადგან ეს გეგმა განუხორციელებელია. სამაგიეროდ, ზემოხსენებულ გეგმა-მაქსიმუმს შესაძლოა ემატებოდეს საქართველოსაგან ტერიტორიის ჩამოცილებაც (რუსეთში შეყვანის ან მარიონეტული დამოუკიდებლობის სახელმწიფოების შექმნის ფორმით).

რუსეთი იკავებს თავისი შეიარაღებული ძალებით საქართველოს მთელ სანაპიროს, მათ შორის ფოთსაც, რითაც გზას უკეტავს ოკეანისაკენ ამიერკავკასიას მთლიანად და შუა აზიას. დასავლეთ-აღმოსავლეთის დერეფნის (ცენტრალური ევროპა-შუა აზია) შექმნის გეგმა დავიწყებას ეძლევა. შავი ზღვა რჩება, ფაქტობრივად, რუსულ ტბად, ხოლო შუა აზია მუდმივი ბლოკადის შიშის ქვეშ რჩება, რითაც მისი მომავალი მორჩილება გარანტირებულია.

პროგრამა-მინიმუმი შემდეგია: საქართველო ნეიტრალურია (იგი არავისთან არ დებს სამხედრო კავშირს), არ ერჩის რუსეთს გაეროში და სხვა ფორუმებზე მისი კავკასიის ხალხებზე ბატონობის გამო.

საქართველო ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს იმ სტრატეგიული ინფორმაციის მოპოვების მხრივ, რომელიც ეხება ახლო აღმოსავლეთის სივრცეს, იმ ფარგლებში, რომელშიც ეს სჭირდება თავდაცვას და მოულოდნელობათაგან გარანტიას; საქართველოში დროებით და საზღაურის გადახდევინებით რჩება რუსეთის ორიოდე სამხედრო ბაზა მკაცრად განსაზღვრული სათავდაცვო (და არა შეტევითი) პროფილით.

რუსეთი საკუთარი ნებით არ აიღებს ხელს თავის პროგრამა-მაქსიმუმზე და არ შეცვლის მას პროგრამა მინიმუმით. მაგრამ მისი პროგრამა-მაქსიმუმი ჩვენი ქვეყნისათვის მიუღებელია, ვინაიდან იგი ჩვენი სახელმწიფოს დანგრევას და ახლო მომავალში ისტორიის ასპარეზიდან ჩვენი ერის გაქრობას ნიშნავს. მაშასადამე, რუსეთი უნდა ვაიძულოთ ხელი აიღოს თავისი გეგმის რაღაც ნაწილზე (ჩვენთვის სრულებით მიუღებელ ნაწილზე) და დასჯერდეს მის მეორე (ჩვენთვის მისაღებ) ნაწილს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ (სახელდობრ, პოლიტიკური წინააღმდეგობა პირველ ყოვლისა) და ეს პოლიტიკური ბრძოლა თავდაცვის იმ ზღუდეზე უნდა ჩავატაროთ, რომელიც ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია. ეს ნიშნავს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:

ოცდამეექვსე ნაბიჯი. უნდა უარი ვუთხრათ ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში მოქმედების მანდატზე რუსეთის „მშვიდობისდამცველ" ძალებს.

ოცდამეშვიდე ნაბიჯი. უნდა მთელი დიპლომატიური კატეგორიულობით მოვითხოვოთ რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოდან მთლიანად.

ოცდამერვე ნაბიჯი. უნდა გამოვიყენოთ გაეროს ტრიბუნა და ყველა სხვა ჩვენთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო ტრიბუნა, რათა

ა) მხილებული იქნას რუსეთის მიერ ქართველთა გენოციდის და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ამბოხებათა ინსპირირება.

ბ) მხილებულ იქნას რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ჩრდილოკავკასიაში.

ოცდამეცხრე ნაბიჯი. ოფიციალურად უნდა შეიზღუდოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარების ფუნქციობა, გადაადგილების ჩათვლით, იმ ზომამდე, რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის საქართველოდან გასვლამდე.

ოცდამეათე ნაბიჯი. საქართველოს წარმომადგენელმა თანმიმდევრულად უნდა დაიცვას გაეროში ჩრდილო კავკასიელთა თავისუფლების ინტერესები იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს შესაძლებელია სახელმწიფოთა საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპთა შეულახავად.

ოცდამეთერთმეტე ნაბიჯი. რუსეთთან მოლაპარაკება ერთობლივი ინტერესების შესახებ.

ნოდარ ნათაძე,
პარლამენტის წევრი.

XEROX
The Document Company
ოფიციალური წარმომადგენელი
გთავაზობთ:
ასლგადამღებ მანქანებს, საფაქსიმილო აპარატებს, სალაზერო პრინტერებს,, საბეჭდ მანქანებს, საკანცელარიო საქონელს
პრესტიჟი
უმაღლესი ხარისხი
გარანტია სერვისი
ტელეფონი: 98-36-31 ფაქსი: 98-96-58
ტელექსი: 212958 ESABI
სერვის-ცენტრი: 98-94-77

ვყიდი
სასწრაფოდ საბურთალოზე (დიღმის გზა) მეტროსთან ახლოს, 2 ოთახიან ჩეხურ გარემონტებულ, ტელეფონიან ბინას მანქანის სადგომით, 9 სართულიანი სახლის 4-ე სართულზე.
ფასი შეთანხმებით.
30-03-27 22-09-58

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ფრთხილად, ბავშვებო!

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, სამგორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში მოვიდა თბილისის ცხრაწლიანი სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი მარინა ლაბაძე და განაცხადა, რომ სკოლა-ინტერნატის ტერიტორიიდან მდინარე მტკვარზე ჩავიდა მეექვსე კლასის რამდენიმე მოსწავლე. ერთ-ერთ ბავშვს — ა. მაგინიანს ნაპირზე აუცდა ფეხი და მტკვარში ჩავარდა.

საუბედუროდ, ბავშვი დაიხრჩო.

მოიპარეს დროსელ-ტრანსფორმატორი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა სვირიაჯიმეთის გადასარბენზე მოიპარეს რამდენიმე ალუმინის დროსელ-ტრანსფორმატორი.

საქმეს იძიებს ზესტაფონის შინაგან საქმეთა განყოფილება.

წიგნის ქურდები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით 2 ოქტომბერს ღამის საათებში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა შეაღწიეს ებრაელთა სალოცავში და მოიპარეს ორი, ძველებრაულ ენაზე დაწერილი ლოცვების წიგნი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

დამთავრდა ბავშვთა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი

1 ოქტომბერს, მუსიკის საერთაშორისო დღეს, ბორჯომის მინერალური წყლების პარკში გაიმართა გალა-კონცერტი, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ბავშვთა პირველი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის დამთავრებას მიეძღვნა.

გალა-კონცერტის გახსნისას ფესტივალის ჟიურის წევრმა, მუსიკისმცოდნე მაია დათუნაშვილმა აღნიშნა, რომ ეს ფესტივალი ტრადიციული გახდება. საორგანიზაციო კომიტეტისა და ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ფესტივალის მთავარი პრიზი „ბროლის ნაძვი" არავის არ გადაეცემა და სამუდამოდ დარჩება ბორჯომის ხეობაში, როგორც მარადიული დღესასწაულის სიმბოლო.

ქრონიკა

შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური კონცერნი „საქსერვისი", რომლის პრეზიდენტად დანიშნულია მიხეილ ხვადაგიანი.

„იბერიის" ლენტიდან

ლესელიძე. მდინარე ფსოუსთან განლაგებული საკონტროლო-გამშვები პუნქტის რუსული მხარის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათი მეშვეობით შემცირდა აფხაზეთში იარაღის უკანონო გზით შეზიდვა. ამავე პუნქტის აფხაზური სასაზღვრო ჯგუფის უფროსმა კი აღნიშნა, რომ აფხაზთა სურვილია ამ სასაზღვრო პუნქტის საერთოდ გაუქმება და 8 წლის წინათ არსებული სიტუაციის აღდგენა, როდესაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის თავისუფალი მიმოსვლა იყო.

ცხინვალი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ მიმართა რუსეთსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათი მეშვეობით მოხდეს ქართულ-ოსური დიალოგის აქტივიზაცია. მათი თქმით, დიალოგის პროცესი, ფაქტობრივად, ერთ ადგილას „გაიყინა".

თბილისი. უახლოეს ხანებში ევროთათბირის სამხედრო დამკვირვებელთა მისია განლაგდება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. აქამდე ეს მისია მხოლოდ ცხინვალის რეგიონში იყო განლაგებული.

სიმღერის უკვდავება

30 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა გიორგი ცაბაძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელზეც კოლეგებმა, მეგობრებმა, მუსიკათმცოდნეებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ჩვენგან ნაადრევად წასული შესანიშნავი კომპოზიტორი.

საღამოზე ცნობილი სოლისტებისა თუ ჯგუფების შესრულებით კიდევ ერთხელ გაიჟღერა გიორგი ცაბაძის გაუხუნარმა მელოდიებმა.

დარბაზში შეკრებილი უამრავი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს საღამოს მონაწილეებს და ამით კიდევ ერთხელ გამოხატავდა თაყვანისცემას საყვარელი კომპოზიტორის შემოქმედებისადმი.

საღამოს ორგანიზატორი იყო „გიორგი ცაბაძის საზოგადოება" (თავმჯდომარე — ზურაბ გოშაძე), რომლის მისამართითაც მადლობის მეტი რა გვეთქმის.

* * *

● სურათებზე: ცოცხალ ყვავილებს უწყობდნენ გიორგი ცაბაძის პორტრეტს; ზურაბ გოშაძემ დარბაზს წარუდგინა ლევანიკო ცაბაძე — შვილიშვილი, ნიჭიერი მომღერალი და ალიკვალი გიორგი ცაბაძისა; გამოდიოდა გოგი დოლიძე, „ორერა", „პალიტრა" და სხვები...

ჯავარ ლომაძის ფოტო.

ფიქრები პრემიერის შესახებ

ჩვენს საზოგადოებაში მიღებულია აზრი, ეკონომიკური რღვევის პირობებში ერთადერთი, რისი ექსპორტიც საქართველოს შეუძლია, ეროვნული კულტურა და ხელოვნებააო. საბედნიეროდ, ჩვენი წარმოდგენები ტრადიციულ „საექსპორტო პროდუქციაზე" თანდათან ფართოვდება. ამას წინათ პრესამ საზოგადოებრიობას აუწყა, რომ სუზდალის რადიოსპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალზე „გრან-პრით" დაჯილდოვდა საქართველოს რადიოს წარდგენილი რადიოსპექტაკლი „რეპეტიცია", პიესის ავტორი და სპექტაკლის რეჟისორია ზურაბ კანდელაკი, ხმის რეჟისორი — რომეო ტერ-გრიგორიანი.

ამ ფაქტით გამოწვეულ სიხარულს ისიც აძლიერებს, რომ რადიოსპექტაკლის ჟანრი ჩვენში შედარებით ახალი ხილია. ევროპაში ამ აპრობირებული ჟანრის ძირითადი თავისებურება ის გახლავთ, რომ, ხელოვნების მხატვრული გამოსახვის საშუალებათა მდიდარი არსენალიდან რადიოდადგმის არქიტექტონიკა მხოლოდ სამ კომპონენტზეა აგებული. ეს არის მსახიობის ხმა, თავისი ინტონაციური ნაირგვარობით, ხმაური, თავისი განუსაზღვრელი მრავალფეროვნებით, მუსიკა და მეოთხეც, რაც ამ სამს ესთეტიკურ ღირებულებად აქცევს — მსმენელის ფანტაზია. რეჟისორი ახდენს ხმის, როგორც ინსტრუმენტის, საშუალებით მსმენელის ფანტაზიის, მისი წარმოსახვის პროვოცირებას. ამდენად, ხელოვნების არც ერთი დარგი, ლიტერატურის გარდა, არ საჭიროებს მსმენელის როგორც თანაავტორის შეგრძნებას ისე, როგორც რადიოსპექტაკლი. უფრო მეტიც! თანაგანცდა რადიოსპექტაკლის, როგორც ხელოვნების დარგისა, აუცილებელი პირობაა. ამასთან, თეატრალური დადგმისაგან განსხვავებით, რადიოსპექტაკლის აღქმისათვის დამახასიათებელია გარკვეული ინტიმი, კამერულობა.

ზ. კანდელაკის ზემოხსენებული სპექტაკლი ასოციაციური ნაკადის პრინციპზეა აგებული, ასოციაციათა იმპულსური გამოწვევა და შემდგომ მათი კომპოზიციაში გამთლიანება ქმნის ნაწარმოების მხატვრულ კონცეფციას, რეჟისორის ესთეტიკას. ცნობიერების ნაკადის ეს მეთოდი კარგა ხანია ნაცადია თანამედროვე პროზაში, მაგრამ მისი მისადაგება რადიოესთეტიკასთან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენში, ორიგინალური და საინტერესო ცდაა. რეჟისორი შეგნებულად გაურბის ყოველგვარ კონკრეტიზაციას, პირობითია დროც და სივრცეც, ამორფული და დანაწევრებულია ადამიანთა ცნობიერება, მკრთალი, სიუჟეტური ქსოვილი- რემინისცენციებით (როგორც მუსიკალური, ისე ლიტერატურული) არის დალამბული. ეს არის მინიშნებებისა და ნახევარტონების ხელწერა.

სიმბოლურია, რომ სპექტაკლი ორკესტრის რეპეტიციით იწყება. ისმის აშლილი ინსტრუმენტების ატონალური ბგერები. ამ ფონზე ნელ-ნელა იკვეთება თეატრის სარეპეტიციო დარბაზი. რადიომსმენელი ! შემოქმედებითი პროცესის მოწმე ხდება, ეს არის პროცესი ქაოსიდან სამყაროს შექმნისა. ქმნადობის, როგორც მარადგანახლებადი პროცესის, მინიშნებაა ფინალი, სადაც მტანჯველი ძიებების შემდეგ რეჟისორი აცხადებს: — ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ...

სპექტაკლის ფორმად რეპეტიციის გამოყენება ავტორს ერთიდაიმავე ეპიზოდის განსხვავებულ სიბრტყეზე ვარირების საშუალებას აძლევს. ერთიდაიგივე ფრაზებს სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავებული ქვეტექსტით იმეორებენ განსხვავებული პერსონაჟები. უნდა ითქვას, რომ ეს ხერხი საინტერესოდ არის გამოყენებული — პაროდია, გროტესკი თუ ფსიქოლოგიური დრამა თანაარსებობის საინტერესო სპექტრს ქმნის, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეკლექტიზმის საშიშროება ყოველთვის ერთნაირი წარმატებით როდია დაძლეული.

ნაწარმოებს რეფრენად გასდევს ფრაზა: „მთელი ცხოვრება თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, დანაშაულია, რომ ვცხოვრობდი, რომ ვსუნთქავდი, რომ დავიბადე"... სულიერი ნიველირების ეს ფორმა, ტოტალური სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ეს ფსიქოლოგიური ტიპი, მრავალგზის არის გახაზული „რეპეტიციაში". დამნაშავეა ყველა — ტირანი და მონა, ჯალათი და მსხვერპლი, რადგან ყველამ ერთად შექმნა ეს „საპყრობილე, რომელშიც ბევრი შენობაა, ბევრი ხვრელი, ბევრი ჯურღმული". შორეული წარსულის თავისუფალი ციტირებითა და ახლო წარსულის რეალიებზე მინიშნებით, ავტორი ახერხებს ზედროული, ამავე დროს აქტუალური პრობლემის მხატვრულ გააზრებას. მარინა ცვეტაევას ტრაგიკული ცხოვრების ერთ დეტალზე აქცენტირებით შექმნილ განწყობილებას ცვლის გროტესკული პასაჟი — ჯალათის ფარისევლური სინანული, რასაც მოსდევს ბრბოს ეგზალტირებული რეაქცია: — „რა ჰუმანურია, რა განათლებული, რა მომხიბვლელი ღიმილი აქვს. როიალზეც უკრავს, მაგრამ მაინც დოლი ამჯობინა"... ასეთი მინიშნებები დადგმაში მრავლად არის. ახმეტელის, მიქელაძის, გალაკტიონის რემინისცენციებს ენაცვლება ჰამლეტისა და ოფელიას მონოლოგის პერიფრაზები. ამგვარი არაკონკრეტულობა ზ. კანდელაკის მხატვრული პოზიცია უნდა იყოს. იგივე პრინციპით არის განხორციელებული მისი პიესები: „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო", „უფალო, გამიყვანე დერეფნის ბოლოს". ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ სპექტაკლებსაც ზემოაღნიშნული თემატიკა მსჭვალავს. პრობლემათა ეს რკალი, ჩანს, რეჟისორის მსოფლმხედველობრივი კრედოა.

რადიოსპექტაკლი, როგორც უკვე ითქვა, თეატრალური ყოფის პერიპეტიებს ასახავს. მსახიობთა წინაშე რთული ამოცანა დგას, მათ ერთიდაიმავე დროს უნდა წარმოადგინონ, როგორც სპექტაკლის მონაწილე მსახიობი, ისე ამ მსახიობის მიერ განსახიერებული როლი. ეს დუალიზმი სხვადასხვა ხარისხით არის გამოყენებული — თუ ერთ შემთხვევაში მსახიობი და მისი როლი ერწყმის ერთმანეთს, იმდენად, რომ მათი გამიჯვნაც კი ჭირს, მეორე შემთხვევაში შემსრულებელი აშკარად ემიჯნება განსახორციელებელი როლის ხასიათს. თვალსაჩინოა, რომ საქმე გვაქვს გაუცხოების ეფექტის, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეჟისორულ რადიოგადაწყვეტასთან. ეს ხერხი რეჟისორის კიდევ ერთ მიგნებად უნდა ჩაითვალოს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პიესას აშკარად ეტყობა, რომ იგი რეჟისორის კალამს ეკუთვნის. აქ პიესის ლიტერატურული ღირსება აშკარად ეწირება დადგმის მიზანდასახულებას. ეს კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ ფაქტს, რომ ქართული დრამატურგია ვალშია რადიოსთან, ისევე, როგორც ქართული კრიტიკა.

წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს კრიტიკის ამ ხარვეზის შევსებას. ეს უფრო კომპეტენტური ხალხის პრეროგატივაა. ჩემი მიზანი ამ საკითხებისადმი საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევის ცდაა მხოლოდ.

ყური მიუგდეთ, ბატონებო!

ნოდარ მამაცაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„ხრიდოლი" — საბრძოლო ხელოვნების ვარჯიშთა სისტემა

ბევრი ყმაწვილი ეტანება დღეს აღმოსავლურ ორთაბრძოლებს, ანუ მოდაქცეულ კარატეს სხვადასხვა მიმართულებებს. ქართველებს უძველესი დროიდან გვქონდა ჩვენი საბრძოლო ხელოვნება, დღეს კი უცხო სახეობისადმი ვავლენთ მისწრაფებას.

რამდენიმე წელიწადია თბილისში გამოჩნდა სამი ახალგაზრდა კაცი — კახა ზარნაძე, ლევან კიკალეიშვილი და ირაკლი ნარმანია (სამივე მხატვარია). ამ სამეულმა ჯერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, შემდეგ კი ერთობლივად დიდი ძალისხმევის შედეგად შექმნა ქართული საბრძოლო ხელოვნების ვარჯიშთა სისტემა — „ხრიდოლი". ამ სისტემის დასრულებულ სახემდე მისაყვანად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ, რაც უმთავრესია, დიდი საქმე ადგილიდან დაიძრა..

ფრანგებს, მაგალითად, აქვთ თავიანთი საბრძოლო ხელოვნება — „სავატე" (იგი ასახულია კინოფილმ „პარიზის საიდუმლოებანში"), ბრაზილიელებს კი — „კაპოიერა" (ფეხებით ორთაბრძოლა, რომელიც სამბას მსგავსად მუსიკის თანხლებით სრულდება). სხვა ერებსაც აქვთ თავიანთი საბრძოლო ხელოვნების სისტემა.

ქართველი ათლეტი, რა თქმა უნდა, მშობლიურ ხრიდოლს უფრო შეისისხლხორცებს, ვიდრე კარატეს. ის იაპონურ და ჩინურ ტერმინოლოგიას მექანიკურად იზუთხავს, ქართულ ორთაბრძოლებში კი ჩვენი, ტკბილქართული შესატყვისები გვაქვს...

არცერთ აღმოსავლურ ჭიდაობაში და ორთაბრძოლის სახეობაში არ არის იმდენი ფანდი და ილეთი, რამდენიც ქართულ ჭიდაობაში.

1910 წელს რუსეთში გამოვიდა წიგნი აღმოსავლური ორთაბრძოლის — ჯიუ ჯიცუს შესახებ, სადაც წერია: „მარტო კავკასიაში კი არ არიან მებრძოლები, იაპონიაშიც არიან". ეს მრავლისმეტყველი სიტყვებია.

მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში ხევსურეთში რუსეთის წარმომადგენლებმა სამჯერ გადაიღეს ხევსურული ფარიკაობა და ლაჯიებით კრივი. ეს კინოფილმი დღეს რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სუკის არქივებში ინახება... საქართველოში კი მისი პირიც აღარ დარჩა. ამ ფილმს ავღანეთში საბჭოთა მეომრებს უჩვენებდნენ, ბევრ „ავღანელს" აქვს იგი ნანახი, რომელშიც კავკასიური ორთაბრძოლების გარდა ჩართულია მონღოლური, ჩუვაშური და იაკუტური საბრძოლო ხელოვნების ნიმუშები, ისრის სროლა და სხვა.

30-იან წლებში კომუნისტური რეჟიმი სპორტსაც შეეხო. ქართული ჭიდაობის წესებიდან ამოიღეს, მაგალითად, შემტევი საბრძოლო ილეთები — მოყინწვები, გაკავებები... ეს ილეთები შემდეგ რუსეთის შესაბამისმა ორგანოებმა ჭიდაობა სამბოში შეიტანეს. სამბოს შექმნის თაოსანი აწ განსვენებული ხარლამპიევი საქართველოს სპორტკომიტეტს სწერდა: „გამოგზავნეთ მეტი რაოდენობის ჭიდაობის ილეთების განმარტებები, რამეთუ სამბო, ქართული ჭიდაობის გარეშე არ იარსებებს". ეს დოკუმენტი დღეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის არქივში ინახება...

ხრიდოლის ჩამოყალიბების ინიციატორებს ქართული საბრძოლო ხელოვნების ერთგვარი ლაბორატორია აქვთ შექმნილი. ეთნოგრაფიული კვლევით ბევრი საინტერესო რამ გამოვლინდა. ხევსურეთში, მაგალითად, დაფიქსირდა ჭიდაობის ორი სახე — მოდა-მოშ და მუჭა-სრისა, სადაც შარვლის კალთებში ხელჩავლებით ჭიდაობენ ხევსურები. სვანეთშიც ორი ჭიდაობაა — ლიბურძგვა და ლიბრგიელი. ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, გუნდური ჭიდაობაა.

რაჭულ ჭიდაობას ღოჯური ჰქვია. აქ ქამრებში ხელჩავლებით ჭიდაობენ.

ქართლ-კახეთში იყო მაჭურა ჭიდაობა (მკლავჭიდის მსგავსი), ცალხელა ჭიდაობა, თვალახვეული ჭიდაობა.

საქართველოში ათობით საუკუნის წინათ ფიქსირდებოდა ხელჩართული ორთაბრძოლები. სხვათა შორის, ქართული ჭიდაობა ემთხვევა შუმერების ჭიდაობას. ზოგიერთ ილეთს ერთნაირი სახელებიც კი აქვთ.

ბერძნულ ჭიდაობაში ფეხით ბრძოლა საერთოდ არ არის, ქართულ ჭიდაობაში კი ძირითადად ფეხით სრულდება ფანდები. იაპონელებმა ქართულიდან გადაიღეს ჭიდაობაში ფეხის აქტიურად გამოყენების საიდუმლოებანი.

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ვანში, გათხრების დროს ნაპოვნია მოკრივის ხელთათმანიანი მკლავი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე-მესამე საუკუნეებით თარიღდება. ესეც ჩვენი საბრძოლო ხელოვნების სიძველეზე მიგვითითებს..

მუდამ მტრიანს საქართველოს უხათუოდ სჭირდება ქართული საბრძოლო ხელოვნება და მისი აღორძინება.

ხრიდოლი — ეს არის დღესასწაულებზე ცეკვა და თამაში, ჭიდაობა და კრივი, მუსიკა. ხრიდოლი ანუ ხრიკების დოლი, ხრიდოლი — ქართული ეროვნული კარატე, ხრიდოლი — ქართველი ბიჭების გაკაჟების წყარო...

ძალას იკრებს და თავის ადგილს იმკვიდრებს სპორტულ სამყაროში ქართული ხრიდოლი.

გაბრიელ ბარჯაძე.

ჩოგანი

მაია ფინალში ითამაშებს!

მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ამ საპატიო წოდების ხუთგზის მფლობელი მაია ჩიბურდანიძე და უნგრელი დიდოსტატი ჟუჟა პოლგარი. მათ პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დასრულებულ პრეტენდენტთა ორწრიან მატჩ-ტურნირში.

უძლიერესთა გადამწყვეტი შეხვედრა გაისად იანვარ-თებერვალში გაიმართება.

ლიკა ბიკაშვილი.

„ვენდეტა" ლანჩხუთში

ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეშვიდე ტურში ლიდერმა — თბილისის „დინამომ" ავსტრიელთა ჯავრი ლანჩხუთში „გურიაზე" იყარა:—ექვსი უპასუხო ბურთი გაუტანა მასპინძლებს და კვლავ პირველ ადგილზეა.

გთავაზობთ იმავე დღეს გამართული სხვა შეხვედრების შედეგებს: „შევარდენი"-„კოლხეთი" 0:1, ბათუმის „დინამო"-„ტორპედო" 1:0, „სამტრედია"-„დურუჯი" 6:2, „მარგვეთი"-„კახეთი" 0:1, „ივერია"-„საპოვნელა" 2:0, „მეტალურგი"-ზუგდიდის „დინამო" 3:1. წყალტუბოს „სამგურალი" არ გამოცხადდა გორში ადგილობრივ „დილასთან" სათამაშოდ.

ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მოეწყობა მეოთხე ტურიდან გადმოტანილი მატჩი „დინამო"-„სამტრედია" (დასაწყისი 15 საათზე).

სანთელი

სოსო ბარათაშვილი

ჩვენმა თაობამ ბევრ ტკივილს გაუძლო, დიდი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ტკივილს, რომელიც სოსო ბარათაშვილის გარდაცვალებამ დაგვიტოვა, დრო და წამალი ვერ განკურნავს. სოსო ბარათაშვილი, როგორც ერთგული და ლამაზი მეგობარი, ყოველთვის იქნება ჩვენს გვერდით და ყველა ჭირს თუ წარმატებას პირველ რიგში მას გავუზიარებთ.

არ არსებობს ისეთი მანუგეშებელი სიტყვა, რომელსაც ამ დიდი მწუხარების ჟამს შეეძლოს სოსოს ახლობლებსა და მეგობრებს ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ტკივილი და ვერც ჩვენ შევძლებთ ამის გაკეთებას. უბრალოდ, ადამიანურად, მეგობრულად გვსურს გითხრათ ყველას, რომ მარადჟამს გვეყვარება ჩვენი, უკვე ზეციური მეგობარი სოსო ბარათაშვილი. და ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით მოვიხსენიებთ მის ლამაზ სულს.

მეგობრები.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

გაუგებრობა რომ ავიცილოთ

საკონსულტაციო ჯგუფი უპასუხებს მკითხველთა შეკითხვებს

— **ვცხოვრობ** ზესტაფონში. დედაჩემი ლამარა ვეფხვაძე, კოლმეურნეობის წევრია (საკოლმეურნეო პენსიონერია) და ვფლობთ 800 მეტრ მიწის ნაკვეთს. დღემდე ფართის შევსება არ მოხერხდა, რადგან ვენახები არ გასცეს, ცარიელი ნაკვეთები კი არ ჰქონიათ. მიწის პრივატიზაციის გამო მიმატანინეს ყველა საბუთი, შემდეგ უარით გამომისტუმრეს. მიზეზად ის მოიდეს — მამაშენი შოთა ვეფხვაძე, რვა წლის წინათ სხვა სოფელში დასახლდა და კომლში აღარ ითვლებაო. ვერ გამიგია, რა შუაშია მამაჩემი, როცა მე მყავს მეუღლე, ორი შვილი და დედაც ჩემთან ცხოვრობს. ამასთან, ზონაში, რომელშიც მე შევდივარ, ჩემი ორი დედმამიშვილი სახლობს. მათ მიწის ნაკვეთი საერთოდ არ გააჩნიათ. მამაჩემი რომელს გადასცემს თავის მოძრავ-უძრავ ქონებას, ეს მისი საქმეა. იგი სხვა კომლად ითვლება და ჯერჯერობით ჩვენთან არავითარი ურთიერთობა არა აქვს.

მე დაჟინებით მოვითხოვ საკარმიდამო ფართის შევსებას, მაგრამ ვისაც ამის გადაწყვეტა ეხება, ხან მეუბნებიან მიწა არ გვყოფნისო, ხან — თუ დაგვრჩება, მერე მოგცემთო. ერთი სიტყვით, როგორც სურთ, ისე იქცევიან, მათთვის კანონი ჯერ არ დაწერილა...

გთხოვთ მიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა კომლს, რომლის წევრია კოლმეურნე პენსიონერი, ფართის შევსება? — **ზესტაფონი. რევაზ ვეფხვაძე.**

— მიწის რეფორმის გამო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 6 თებერვლის № 128 დადგენილებით მიწების განაწილება მიმდინარეობს კომლების მიხედვით. თქვენი შეკითხვიდან ისე ჩანს, თითქოს კომლის ერთი წევრი ცხოვრობს სხვა სოფელში და ფლობს გარკვეული ოდენობის მიწის ნაკვეთს, სხვა წევრები კი ცხოვრობთ ზესტაფონში და გაქვთ 0,08 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში მიწის საერთო ფართმა დადგენილ ზღვრულ ერთ ნორმას არ უნდა გადააჭარბოს. მაგრამ თუ მამათქვენი ოფიციალურად არის განქორწინებული თავის მეუღლესთან, მაშინ თქვენი ოჯახები ცალ-ცალკე კომლებად ჩაითვლება და მიწის ნაკვეთი ცალ-ცალკე გეკუთვნით.

* * *

— პენსიაზე გავედი მეურნეობიდან, ვცხოვრობ ქალაქში. მიწის რეფორმის დროს ჩემისთანა პენსიონერებზე ვრცელდება რაიმე შეღავათები? — **ფოთი, ბარათაშვილის 118, ქ. ნანეიშვილი.**

— რაკი თქვენ ქალაქში ცხოვრობთ, სოფლად მიწის ნაკვეთი შეიძლება გამოგეყოთ ქალაქელთათვის დადგენილი ნორმის მიხედვით.

* * *

— მამაჩემის მშობლებმა სიცოცხლეშივე ჩამწერეს თავიანთი კომლის წევრად — მიშვილეს. მათი გარდაცვალების შემდეგ სოფელ ფუთში დავრჩი ცალკე კომლად და მქონდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთი. სანამ სამხედრო სამსახურიდან დავბრუნდებოდი, კოლმეურნეობის გამგეობამ (1962 წელს) გააუქმა ჩემი კომლი და ჩამომართვა მიწის ნაკვეთი.

1986 წელს ჩემეული მიწის ნაკვეთიდან მომცეს 600 კვადრატული მეტრი, რაზედაც ავაშენე საცხოვრებელი სახლი. ამჟამად მოვითხოვ საკარმიდამოს შევსებას 0,25 ჰექტრამდე. მოვითხოვ ჩემი ნაკვეთის გაგრძელებაზე, რომელიც კოლმეურნეობის დროს გაპიროვნებული ჰქონდა ჩემს მეზობელს და რომელიც ამჟამად არავისზე არ არის გაფორმებული. სოფელ ფუთის გამგებელი ბატონი პეტრე ჩხეიძე კი პასიურობს, გადაწყვეტილ პასუხს არ მაძლევს. მეუბნება, გეკუთვნის, მაგრამ არც გეკუთვნის, რადგან დადგენილება კარგად არ არის შედგენილიო.

სოფლის გამგებელს წარვუდგინე ზესტაფონის რაიონის მიწათმომწყობის და საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და კადასტრის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ზ. ვეგეშკორის წერილები იმის თაობაზე, რომ საკარმიდამო შემივსონ 0,25 ჰექტრამდე, მაგრამ გამგებელმა ამ წერილებს ყურადღება არ მიაქცია. მიპასუხეთ, სწორია მისი მოქმედება? მეკუთვნის საკარმიდამოს 0,25 ჰექტრამდე შევსება? თბილისი, ხ. თუთბერიძე.

— მიწის რეფორმის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების მე-8 პუნქტით ქალაქად მაცხოვრებლებს მიწები მიეცემათ მას შემდეგ, როდესაც დაკმაყოფილდებიან სოფლად მუდმივად მცხოვრებნი, რადგან სოფლის მკვიდრი გარკვეული უპირატესობით სარგებლობს, ქალაქის მცხოვრებლებს კი მხოლოდ ამის შემდეგ დააკმაყოფილებენ.

რეპლიკა

შენც, ბრუტუს?!

თბილისი აქტიურ სეისმურ ზონად იქცა თუ არა, მეც გავაქტიურდი, კიდობან-კამოდ-სკივრში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი განძი ანუ ერთი ოქროს ბეჭედი, ორი ქილა „კილკა", სამი პური ზურგჩანთაში მუდმივად მეწყო და ოთხბალიანი მიწისძვრის დროსაც კი, ჩანთიანქმარშვილიანად ქუჩაში თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი.

საბედნიეროდ, შეწყდა მიწისქვეშა წიაღში ქანების გადაადგილება. სამწუხაროდ, ჩემი „საჭანავე" ჩანთიდან გადაადგილდა პროდუქტიცა და ნივთიც.

პროდუქტების პირისაგან მიწისა აღგვის მიზეზს ახსნა არ სჭირდება, ჩემი „განძეული" კი რეკლამას შეეწირა.

დიახ, რეკლამას.

იმდენი მიჩიჩინეს პრესა-ტელევიზიამ, იმდენჯერ მიფრიალეს ცხვირწინ თეთრი სახლის პირველი ბინადრის მწვანე პორტრეტი, რომ მეც ავცუნდრუკდი და ძვირფასი ლითონი აშშ-ელთა უძვირფასესი პრეზიდენტის „ცულულებში" გავცვალე.

გლეხიკაცივით ოცნება ქილა ერბოდან დავიწყე, რომლის „ფუნქცია" დივიდენდს უნდა შეესრულებინა. რაღა არ ვიყიდე: ცხიმ-ქონ-ზეთი, ფქვილ-შაქარ-ბურღული, ხილბოსტნეული. მეც დავნაყრდი, ქვრივ-ოხერსაც ვუწილადე და შავი დღეებისთვის შემოვინახე.

„კაპიტალინვესტი", „გეიკო", „სახკო", „ქოლორი", „გზა" და ა. შ. თურმე ყვალის გზა ჯანდაბისკენ ჰქონია, ტელევიზია კი ენად გაიკრიფა. არც პრესას დაუკლია ხელი. იმათა გულუბრყვილო რეკლამებისა და გაბრიყვებულ მეანაბრეთა რიცხვმა, რომელთა „ჩადოლარიანების" ისტორია ჩემსას ორი წვეთი წყალივით წააგავს.

სანამ ბრმები უფსკრულში არ გადავიჩეხეთ, მანამდე თვალხილული ეკონომისტები, ფინანსისტები თუ იურისტები დუმდნენ.

ბოლო ხანს კი მუნჯები ალაპარაკდნენ: თურმე 20-25 პროცენტიანი დივიდენდი სატყუარაა, თურმე ულიცენზიოდ მოქმედი საფინანსო კომპანიებიც მრავლად ყოფილა, თურმე ყველას საქმიანობის ფინალი გაკოტრებაა, თურმე და თურმე...

პრესა-ტელევიზია კი მაინც რეკლამას რეკლამაზე გვთავაზობს და ამიტომაც ჩემი კოლეგების — ანუ ხელმოცარულ მეანაბრეთა ოხვრას ეხმიანება კეისრის ცნობილი რეპლიკა — „შენც, ბრუტუს?!"

ლეილა კოშკაძე.

P. S. მართალია პრესისა და ტელევიზიისათვის რეკლამა შემოსავლის წყაროა, მაგრამ თუ ეს წყარო სხვებს სამსალად ექცევა, ან უნდა გადავკეტოთ, ანდა დიდი სიფრთხილე გამოვიჩინოთ.

დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის 1993 წლის 26 ივლისის სხდომაზე მიღებული დადგენილებით, გაუქმებულ იქნა დემოკრატიული პარტიის ძველი ბეჭედი. ამავე დადგენილების საფუძველზე აღებული იქნა ახალი ბეჭედი, რომელიც ამჟამად ძალაშია. გამომდინარე აქედან, დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტი თხოვნით მიმართავს ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომ ყველა სახის დოკუმენტი, რომელზეც იქნება გამოყენებული ძველი ბეჭედი, უკანონოდ ჩაითვალოს.

ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე.
გელა ქვლივიძე.

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible].